140
1961

პიონერი

ილustrირებული
ჟურნალი

140
17

100 წელი

ილია ფშაველის დაბადებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკაკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**

სარედაქციო კოლეგია: **შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, რ. ჭორქია, რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი**

(სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის წელი
XXXV

პიონერი

7
1961

რედაქციული ბიბლიოთეკა

ზაფხულის ძახილი

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ოქროს პური თვალებს ნაბავს
წამწამ ახამხამებით,
აბა, ოთარ, წამო სწრაფად,
გვეძახიან ყანები.

ჰე, მოსწყურდა სიმინდს წყალი,
მზე მიწას ეფიცხება,
ჩვენ თოხებით მივიჩქარით,
სადაც არხი იწყება.

გორაკს ჯარად შესევიან
ჩაის მწვანე ბუჩქები,
მზეა, ჩვენც იქ გვეძახიან,
წამო, რაღას უცქერი.

აფუსფუსდა ცახზე ჭია,
ნაზად ნასათუთები,
აბა, ჩქარა ადექ, ლია,
ხელს გვიქნევენ თუთები.

კვირა დღესაც არ გვცალია, —
ჰერი, ბიჭო ბაკური,
ა იმ ველზე ტაძარია,
მთაზე — გამოქვაბული.

გვიხმობს სამი აღმართული
ციხე-კოშკი ზღაპრული...
შრომისა და სიხარულის
ზაფხულია, ზაფხული!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენო მეგობრებო! ალბათ, ბევრ თქვენგანს თანატოლებთან ერთად უმოგზაურია, ფეხით შემოუვლია და დაუთვალიერებია მშობლიური კუთხე. კარვებში გაუთენებია ღამე. საკუთარი ხელით მოუმზადებია საუზმე და სადილი. მდიდარი ცოდნით დაბრუნებულა მშობლიურ სკოლაში და თან მოუტანია სხვადასხვა სახის კოლექციები.

ასე, არა ერთი და ორი მხიარული დღე გაატარეს წარსულ ზაფხულს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის ნორჩმა ტურისტებმა ვეჯინის ველზე გამართული შეკრების დროს. ჩვენს ამ ფოტონარკვევში ლაპარაკია მათი ერთი დღის საქმიანობაზე.

ყოველ დილით, როცა ბანაკს ჯერ კიდევ ეძინა, „სამზარეულოში" ჩქარობდნენ მორიგე მზარეულები. ჩქარობდნენ, რადგან არ სურდათ საუზმის დაწყების ნიშანს მოუმზადებელი შეხვედროდნენ (სურათი № 1).

მალე ნიშანი მისცეს და ბუნების წიაღში გაშლილ სუფრას (სურათი № 2) შემოუსხდნენ ნორჩი ტურისტები. ენერგიას იკრებდნენ, წინ ედოთ ლაშქრობა, სპორტული თამაშები და მეცადინეობა.

ესეც ასე! საუზმე დამთავრდა, ახლა საჭიროა ჭურჭლის დარეცხვა და აი, წყალს მიაშურეს (სურათი № 3), წესრიგში მოჰყავთ თავიანთი კოვზები, თეფშები, რათა ლაშქრობიდან დაბრუნებულებს მზად დახვდეთ სადილის წინ.

ახლა იწყება ძირითადი საქმე: კარვების წესრიგში მოყვანა, ზურგჩანთების მომზადება, უკანასკნელი მეცადინეობა კომპასზე, მერე კი კოლონა დაიძვრის (სურ. 4). ლაშქრობისათვის განსაკუთრებით ემზადებიან მეექვსეკლასელები. არჩილ უგულავა, გია მელაძე და მიშიკო ლანდია (სურათი № 5) თავიანთი კარვის წინ ზურგჩანთებში ალაგებენ ყველაფერს, ვინ იცის ველზე გასულებს სად რა გამოადგებათ.

სხვებმა ალმზრდელ ლიანა თუშაბრამიშვილს (შუაში)

ზაფხული

ფოტო ავტორისა

მიაკითხეს — კომპასის ზოგიერთ თავისებურებათა დადგენა სურთ, უკომპასოდ ლაშქრობა კი, აბა, რა ლაშქრობა იქნება (სურათი № 6).

ბანაკი დაიძრა. გადალახეს მრავალი „ხევი“, „მთა“. ხანგრძლივი სიარულის შემდეგ შესვენება გამოცხადდა. ტურისტები მიდამოს მოედვნენ. შეესივნენ ყვავილების ხალიჩას და აი, თაიგულები მიართვეს მეოთხეკლასელ ნატო ბურჭულაძეს, რომელმაც ყველას აჯობა კომპასის ხმარებაში (სურათი № 7).

ბავშვებს ბომბორა ლეკვიც ახლდათ მოგზაურობაში. დაიღალა ბომბორა, ენა გადმოუგდია, შესვენებამ სულზე მოუსწრო ლეკვს (სურ. 8).

ხოლო, როცა სხვები ყვავილების კრეფით, ხატვითა თუ სურათების გადაღებით იყვნენ გართულნი, არჩილ უგულავამ აიყოლია მეგობრები, ნებართვა სთხოვა ხელმძღვანელს და გაემართა შესვენების ადგილიდან რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებულ უსახელო მწვერვალის „დასაპყრობად“.

—აჰა, მწვერვალი გამოჩნდა, ბიჭებო! — შესძახა მან თანატოლებს.

კვლავ იერიში და სამი მეგობრის ქუდი გამარჯვების ნიშნად ფრიალებდა მწვერვალზე (სურათი № 9).

ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის საქმიანობა ვეჯინის ველზე ჩატარებული შეკრებით როდი დამთავრებულა. იმის გარდა, რომ აქ 450 ბავშვმა დაისვენა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სადგურის დირექტორის მზია ერისთავის ხელმძღვანელობით შაორის ველსაც ეწვია, მაგრამ ყველაფერი ეს იყო წარსულ ზაფხულს. კარგი ტრადიცია გრძელდება წელსაც. რესპუბლიკის არაერთი ნორჩი ტურისტი არდადეგების დღეებს გაატარებს ლაშქრობებში, დაისვენებს და მდიდარი ცოდნით და საჩუქრებით დაუბრუნდება სკოლას.

ო. გელაშვილი

ვაჟა ფშაველა

საზეიმოდ მოირთო ფშავის სოფელი ჩარგალი. ის კავკასიონის მთების კალთებზეა გაშლილი და იქიდან ამაყად გადმოსცქერის მიდამოებს. განა ცოტა აქვს საამაყო. აი, აქ, ამ ლამაზ ბუნების წიაღში, პატარა ქვიტკირის შენობაში დაიბადა გენიოსი ქართველი პოეტი ვაჟა ფშაველა. მან მთელი თავისი ცხოვრება მთაში გაატარა. ვაჟას დედა გულქანი ივრელი ქალი იყო, ფიზიკლიანთ გვარისა. მან წერა-კითხვა არ იცოდა, თუმცა ბუნებით ფრიად ნიჭიერი და მეოჯახე ქალი ყოფილა. ხოლო ვაჟას მამას, პავლე რაზიკაშვილს, წერა-კითხვა მწყემსობაში შეუსწავლია ჩუმად, ქურდულად, რადგან დედ-მამა უშლიდა თურმე სწავლას.

„მე როცა მამაჩემი ვიცანი მამად, — სწერს ვაჟა, — მაშინ იგი მთავარ დიაკვნად იყო სოფელ მაღაროსკარში, ჩარგალზე რვა ვერსზე დაშორებით. როცა კი შინ იშყოფებოდა, მუდამ მიამბობდა მოთხრობებს ძველი საღმთო ისტორიიდან, წერა-კითხვას მასწავლიდა ძველებურს წესზე. ჩაუჯდებოდა ხორცს ხინკლისათვის საკეფლად ფიცარზე, იქვე ტახტზე მეც დავუჯდებოდი პირდაპირ და ვუგდებდი გაფაციცებით ყურს იმის ტკბილს საუბარს, რადგან ძველი თქმისა ზოგ-ზოგი მოთხრობა მეტისმეტად მომწონდა, ჩემს ყურადღებას იზიდავდა: დავითისაგან გოლიათის დამარცხება, სამსონ ძლიერის მოქმედებანი, ძმათა მაკაბელთა თავდადება და სხვა... და უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ ჩემი თავი სამსონ ძლიერად მყვანდა წარმოდგენილი... რვა წლამდე ვიზრდებოდი ძველ წიგნებზე: „ვეფხისტყაოსანი“, მზეჭაბუკისა და ჯიმშედის ამბავი, გრიბული ჟორჟ-ზანდისა, შეიქმნა ჩემ საყვარელ საკითხავ წიგნებად; ერთხელ წაკითხვას როდი ვჯერდებოდი, რამდენჯერმე ერთი და იგივე უნდა გადამეკითხა. საგმირო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვყავდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედებას“.

რვა წლის ვაჟა მამამ თელავში ჩაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა.

„ჩვენთვის სკოლა საბყრობილე იყო, — იგონებს ვაჟა, — და ღმერთს იმას ვეხვეწებოდით მთელი ჩვენის არსებით, გათავებულიყო ჩქარა სწავლა და დავღრწევიყავით ტანჯვა-წვალებას ბრჭყალებიდან. დიდად უბედურია ის მასწავლებელი, რომელიც სკოლას საბყრობილედ გადააქცევს, და მით უმეტეს უბედურები არიან ისინი, ვინც ამ საბყრობილეში დაუმწყვდევიათ აღზრდა-განათლების სახელით. ნუთუ მუდამ სწავლა ტანჯვად უნდა წარმოვიდგინოთ და არ შემუშავდება ისეთი წესები, რომ სიამოვნებად გადაიქცეს იგი?“...

თელავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვაჟა შედის თბილისის საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში. სწავლის საქმე აქაც დაბალ დონეზე იყო. ვაჟა ვერც სასწავლო პროგრამამ დააინტერესა და ვერც მასწავლებელთა ცოდნამ. ის თვით ეწაფებოდა წიგნებს. იმ ხანებში 15 წლის ვაჟამ უკვე ზეპირად იცოდა მთელი „ვეფხის ტყაოსანი“. ტოლ-ამხანაგებს ხშირად უკითხავდა ადგილებს „ვეფხის ტყაოსნიდან“ და აგრეთვე თავის ლექსებსაც. ვაჟა გონებრივ განვითარებასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფიზიკურ განვითარებასაც, რითაც ისედაც ჯანსაღ ორგანიზმს უფრო აკაჟებდა.

თბილისის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვაჟა შედის გორის საოსტატო სემინარიაში, სადაც მან მეტი სულიერი სიმშვიდე პოვა. სემინარიაში ქართული ენა სავალდებულო საგნად იყო ჩათვლილი, ამასთან ერთად, სემინარიაში საკმაოდ იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები და მოსწავლეები. მასწავლებლები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მოწაფეთა თვითგანვითარებას. გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი, აქტიურად მუშაობდა ლიტერატურული წრე, რომლის სხდომებზედაც მოსწავლეები კითხულობდნენ რეფერატებს ლიტერატურულ საკითხებზე. აქ ვაჟა ფშავე-

ლა მთლიანად ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში. ცნობილია მისი რეფერატი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე. ამ ხანებში ვაჟა აქვეყნებს გაზეთ „დროებაში“ საკუთარ ლექსებსაც, რომლებითაც მკითხველთა ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა.

1882 წელს ვაჟამ წარჩინებით დაამთავრა გორის სემინარია და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ერწოში. ის კეთილსინდისიერად მოეკიდა თავის მოვალეობას, მაგრამ ხელისშემწყობი არავინ ჩანდა. ბავშვებს არ ჰქონდათ ქართული ენის სახელმძღვანელოები. ილია ჭავჭავაძის დახმარებით, ბოლოს, როგორც იქნა, სკოლამ მიიღო 15 ცალი „დედა-ენა“ და 5 ცალი „ბუნების კარი“ იაკობ გოგებაშვილისა.

ვაჟა ვერ იტანდა უსამართლობას, მზად იყო შეჯახებოდა უსამართლობის ყოველგვარ გამოვლინებას; იქნებოდა ის სოციალური თუ ეროვნული. ერწოში მუშაობისას მას მოუხდა შებრძოლება მემამულეებთან, რომლებიც ცდილობდნენ სხვისი ქონების მითვისებას. სკოლის დირექტორმა ვაჟა დააბეზღა მთავრობასთან, როგორც მავნე აზრების გამავრცელებელი, რის გამოც დათხოვნილ იქნა მასწავლებლობიდან.

ამის შემდეგ ვაჟა პეტერბურგს მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. პეტერბურგში ის უნივერსიტეტში ჩარიცხეს თავისუფალ მსმენელად, იქვე სწავლობდა ვაჟას უფროსი ძმა გიორგი. ვაჟამ უნივერსიტეტის დასრულება ვერ შეძლო ეკონომიური გაჭირვების გამო და იძულებული შეიქნა ორი წლის შემდეგ დაბრუნებულიყო სამშობლოში. აქაც არ იყო მისთვის ცხოვრების შესაფერისი პირობები. ჰონორარით ვერ იცხოვრებდა, ხოლო სახელმწიფო სამსახურის რეჟიმში მუშაობას ვაჟა ვერ შეეგუებოდა და, ვინაიდან სხვა გამოსავალს ვერაფერს ხედავდა, დროებით შინა მასწავლებლად დაიწყო მუშაობა თავად ამილახვრის ოჯახში, სოფელ ოთარაშენში. აქ ვაჟამ შეირთო ქალი და ამის შემდეგ დიდხანს არც დარჩენილა ამილახვრის ოჯახში.

ვაჟა ფშაველას უკანასკნელი სამსახური იყო დიდი თონეთის სკოლა, საიდანაც ორი წლის სამსახურის შემდეგ დათხოვნილ იქნა სოფლის მმართველობასთან შეტაკების გამო.

1888 წელს ვაჟა თავის ცოლ-შვილით საბოლოოდ უბრუნდება ჩარგალს და იწყებს იქ ჩვეულებრივ გლეხურ ცხოვრებას. ის მიწას ბარავდა, ხნავდა, თესავდა, როგორც ყოველი ფშაველი. დადიოდა ფშავ-ხევსურთა დღეობებზე.

ვაჟას წინ მთის მთელი სამყარო გადაეშალა. სალოცავები, ლაშარის ჯვარობა, კოპალას ქვა, დღეობები და მთიელთა ლხინი.

...შაიყრებიან ფშავლები
ლამაზ-ლამაზად ზრდილნია,
ისმის ფშაური სიმღერა,
ტკბილი ფშაური ლხინია...

ვაჟას არ შეეძლო არ ეწერა. მისი ხალასი ნიჭი ვერ ისვენებდა. ის ნამდვილ პოეტად იყო დაბადებული.

ქუხს ჩანგი, აღარ ისვენებს,
მეც მხოლოდ მღერა მწადისა;
ბშლება მღერაში დნება
ბუდე ყველა სხვა დარდისა...

ვაჟას მრავალმხრივი შემოქმედება ეხება ყველა იმ საკითხს, რომელიც მის თანამედროვე ხალხს აღელვებდა.

ვაჟამ შექმნა უკვდავი სახეები გმირი ადამიანებისა, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით იწვიან. ისინი სიცოცხლესაც არ ზოგავენ თავიანთი წმიდათა-წმიდა მიწა-წყლის დასაცავად.

აი, განსაცდელში ჩავარდნილი ბაკურის ციხე, რომელსაც შვიდ დღეს სისხლით იცავდნენ მთიელები დამპყრობთაგან. ქალებიც გვერდით ედგნენ მამაკაცებს და ტყვია-წამალს აწვდიდნენ მათ. ბოლოს, როცა ტყვია შემოაკლდათ და მტრის ჯარი უფრო ჭარბად შემოესია ქართველთა სიმაგრეს —

ცეცხლად გადიქცა ბაკური,
მარტო ოხვრად და კვნესადა...
გული ქცევია ტალადა,
თვალები უჩანს კვესადა.
„ვაჰ, დედას მტრისას!“, — ესა სთქვა,
ხელი გაივლო ხმალზედა:
„ისევ მე დაგხოცთ!“ და ცოლ-შვილს
თავები დასჭრა წამზედა.

ამის შემდეგ ბაკური მიუხტა ციხის კარზე მოსეულ მტერს და თორმეტი იქვე მიაწვინა. მაგრამ „ვეფხვსაც დაუცვდა კლანჭები, ბაკურმაც დაიძინაო“. ცოლშვილის ტყვედ ჩავარდნას და მტრის ხელში წამებას ბაკურმა მათი სიკვდილი არჩია. თვითონაც უთანასწორო ბრძოლაში ვაჟკაცურად დაიღუპა. ბაკური, ელიზბარა, გიგი და მრავალი სხვა, სამშობლოსათვის თავდადებული გმირი იყო ვაჟას შთაგონების წყარო.

მტრის ხელში ჩაგდებულ საქართველოს ვაჟა დაჭრილ არწივს ადარებდა, რომელსაც ყვავ-ყორნები კორტნიდნენ.

ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა.

ვაჟას დამონებული სამშობლო არა სწამს, მან იცის, გმირი ხალხი ქედმოუხრელია და თავის მიწა-წყალს არავის დაუთმობს.

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.



ვ ა ჟ ა. ხეზე ამოკვეთა **ბ. ავალიშვილმა**

ეს მებრძოლი სული მისდევს ბოლომდე ვაჟას მთელ შემოქმედებას.

1915 წელს, სიკვდილის წინ, ვაჟამ დაწერა ცნობილი ლექსი „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“. ამ ლექსის გმირი, ფშაველი ჯარისკაცი, პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობს. მას ეჩვენება, რომ ფრონტზე თავს დასტრიალებს დიდ ქართველ წინაპართა აჩრდილები და მათგან გამხნევებული ვაჟკაცურად იბრძვის. მაგრამ ფშაველი ჯარისკაცისათვის გაურკვეველია ომის საბოლოო მიზანი. ნეტავ თუ დაგვიფასდება ქართველთა შვილებს ამაგი, — ამბობს იგი. მისთვის ერთი კი ნათელია: მან არ უნდა შეარცხვინოს ბრძოლაში მშობელი ქვეყანა. სწერს კიდევაც ამაზე დედას:

> საჩხუბრად, სისხლის საღვრელად,
> თოფის, ზარბაზნის სროლაზე.
> მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს
> ლაჩარი შვილის ყოლაზე.

ვაჟას შემოქმედებაში პოემებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. მის ცნობილ პოემებში მთელი სისრულითაა ასახული მთის ხალხის ყოფა-ცხოვრება, ადათები, ერის ისტორიული წარსულის ცალკეული ეპიზოდები. პოემა „ბახტრიონი“ მეჩვიდმეტე საუკუნის ამბებს შეეხება. აქ ვაჟამ აღადგინა ბახტრიონის ციხეში გამაგრებული მტრის განადგურების სურათები. სხვა პოემებში ვაჟა ასახავს ტრადიციული ადათების მტკიცედ დამცველი თემებისა და მის დამრღვევ პიროვნებათა ურთიერთობას. თემი მტკიცედ მოითხოვს თავის ზნე-ჩვეულებათა დაცვას, ხოლო მათ, ვინც ამას არღვევს, თემი სასტიკად სჯის. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია პოემები, „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“.

ვაჟა ფშაველა ბუნების მგოსანია. მისთვის ბუნებაც ისეთივე ცოცხალი არსებაა, როგორც ადამიანი. მთები, ხეები, კლდეები, ცხოველები, ყვავილები და ბუნების სხვა მოვლენები ყველაფერში სიცოცხლეს, ადამიანურ თვისებებს ავლენენ. ამ მხრივ დამახასიათებელია, ლექსებთან და პოემებთან ერთად, ვაჟას პროზაული შედევრები: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, „მთის წყარო“, „ხმელი წიფელი“, „მთანი მაღალნი“ და სხვ.

ვაჟა ფშაველა თავის მოთხრობებში ბუნების სურათების დახატვით სიმბოლურად ერის საჭირბოროტო საკითხებს ასახავდა.

ვაჟას ერთნაირად აწუხებდა სოციალური და ეროვნული საკითხები; „თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, — ამბობს ვაჟა, — არამედ მთელი ერი. ქვეყანა მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, — ყველა წოდება იქნება თავისუფალი“. 1889 წელს დაწერილ ლექსში „ღარიბის სიმღერა“ პოეტი აღწერს გაღატაკებული გლეხის ცხოვრებას:

> ტიალო სიღარიბეო,
> გაბეჩავებ ყველასა!
> აღარსითა მაქვს სახსარი,
> აღარსით ველი შველასა!
> ბალღები დამიწოკდა,
> კაბა გაუცვდა ლელასა,
> ვინ იტყვის წვნიან საჭმელსა,
> პურს ვეღარ ვშოვობ ხმელასა.

ვაჟა აღფრთოვანებით შეხვდა 1905 წლის რევოლუციას. მასში ის ხედავდა ხალხთა თავისუფლების საწინდარს. რევოლუციის დამარცხების შემდეგაც, რეაქციის პერიოდში, პოეტი იმედს არ კარგავს. 1906 წელს დაწერილ ლექსში ამბობს:

> კიდევაც ვნახავ ცა სჭექდეს,
> თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
> ანოყივრებდეს მიწასა,
> მდინარეები ხვიოდეს,
> აღარვინ იტანჯებოდეს
> და აღარც ვისა ჰშიოდეს;
> სიმართლის გამარჯვებასა
> მთაზე არწივი ჰკიოდეს.
> მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
> გული აღარა მტკიოდეს.

ვაჟას მტკიცედ სჯეროდა მომავლისა, სწამდა, რომ ქვეყანაზე სიმართლე გაიმარჯვებდა. დადგა მისთვის სანატრელი ეს დროც და განთავისუფლებული, ბედნიერი ქართველი ხალხი, სხვა ხალხებთან ერთად ზეიმით აღნიშნავს თავისუფლების მომღერლის, გენიოსი ქართველი პოეტის დაბადების ასი წლის თავს.

ამირან გაბესკირია

ვაჟას ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი სურათი

ხუჯინიანი სტუმარი

დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის შინა ლიტერატურულ სალონად იყო გადაქცეული. აქ ხშირად თავს იყრიდნენ მე-19 საუკუნის სიტყვაკაზმული ლიტერატურის გამოჩენილი თავკაცები — მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

დღის თორმეტი საათი იქნებოდა... იაკობი სავარძელში იჯდა. ორთავე ხელის მტევნები ერთიმეორეში შეერგო და მუხლებზე დაეწყო. დერეფანში ზარის ხმა გაისმა.

— გახედეთ, გეთაყვა! დღეისათვის ძვირფას სტუმრებს ველოდები, მწერლები უნდა მეწვიონ, — მიმართა მამაჩემს, რომელიც ახალი ჩასული იყო სოფელ ჯარიაშენიდან, (მამაჩემს, ანდრია სრესელს, იაკობის ძმისწული ამალია გოგებაშვილი ჰყავდა ცოლად).

გახარებული ანდრია ქუჩისპირა კარისკენ გაემართა.

— დღეს კარგ ფეხზე მივლია, მწერლებს ვნახავ, — ფიქრობდა იგი.

კარი გამოაღო თუ არა, წინ მთასავით მაღალი კაცი აღემართა, იგი გახუნებულ ნაბადში გახვეულიყო და მხარზე ჭრელი ხურჯინი გადაეკიდა.

— იაკობი შინ ბრძანდება? — დინჯად იკითხა მან.

— დიახ, სახლში გახლავთ, ახლავე მოვახსენებ, — მიუგო შეფიქრიანებულმა ანდრიამ და კარი სწრაფად მიუხურა უცნობ სტუმარს. ახალმოსულმა უხერხულობა იგრძნო, ფართე მხრები აიჩეჩა, შემდეგ კი ღიმილმა გადაურბინა სახეზე...

— ნაბად-ხურჯინიანი კაცი გკითხულობთ! — გაოცებული სახით მოახსენა იაკობს ანდრიამ.

— მერედა სად არის? სთხოვეთ.

— ქუჩაში იცდის, არ მითხოვია შემოსვლა.

იაკობი მაშინვე მიხვდა, რაც მოხდა... გაეღიმა:

— მიდი, ანდრია, მიდი, გეთაყვა, ფართოდ გავუღოთ კარები...

დარცხვენილი ანდრია კარს ეცა...

სტუმარი თამამად, მტკიცე ნაბიჯებით შემოვიდა.

ერთურთის მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ვაჟამ თქვა:

— იაკობ, დაპირება შევასრულე, ბალღებისათვის ლექსები და მოთხრობები ჩამოვიტანე, ეგების გამოგადგეთ, თქვენ უკეთ განსჯით ბალღთათვის განკუთვნილს...

მერე პირი გადაუხსნა ხურჯინს და მაგიდაზე დააწყო ხელნაწერები, რომელთაც მთის ყვავილებისა და ნეღლი ბალახის სურნელი ამოჰყვა.

იაკობს სახე გაუბრწყინდა. იაკობსა და ვაჟას შორის დარბაისლური მუსაიფი გაიმართა. იაკობი თან სუფრის გაშლის თადარიგს შეუდგა და მერე ვაჟას სთხოვა: ლექსები წაგვიკითხე, გულს დარდი გადაეყაროს, ერთი შენებურად გაგვამხნევე და გაგვახარეო.

ვაჟამ მასპინძლის თხოვნა შეასრულა, დაუზარებლად წაიკითხა რამდენიმე საბავშვო ლექსი და პატარ-პატარა ნაწყვეტები პოემებიდან. იაკობს განსაკუთრებით მოეწონა პაწია საბავშვო ლექსები: „ძერცხლის სიმღერა“ და „ქორმა წიწილა წაიღო“. „ძერცხლის სიმღერა“ კი ანდრიას იმდენად მოსწონებია, რომ მაშინვე ჩაუწერია და ქვე ზეპირად დაუმახსოვრებია. შემდეგშიც ამ ლექსს ანდრია ხშირად იტყოდა ხოლმე და თან დასძენდა:



ნახ. რ. ცუცქირიძისა

— ეს ლექსი პირველად ვაჟასაგან მოვისმინე და დავიხსომეო.

...ვაჟა კი კითხულობდა ლექსებს ვაჟკაცური ხმით...

უეცრად იაკობი წამოხტა, გადაეხვია ვაჟას, გადაკოცნა და აღელვებულს ცრემლები მოერია.

ი. სრესელი

ვაჟას საშობლო მხარეში

ხეობის გასწვრივ გზა მიდის, გზაზე მანქანები მოდიან.

ორივე მხარეს ტყეებია, ტყეები და სოფელი.

აქეთ ვაჟას სახლ-მუზეუმია, ცოტა უფრო ზემოთ — შვიდწლიანი სკოლა.

სკოლას პატარა ეზო აქვს, პატარა საცდელი ნაკვეთი...

ბავშვებს ჩანთები უწესრიგოდ მიუყრიათ ყორეზე და ნაკვეთში ტრიალებენ, აქვეა მასწავლებელიც. ახლადდაბარულ მიწას აფხვიერებენ, ნაკელს აყრიან, კვალს კვალი მიჰყვება და ითესება ყვავილები და ბოსტნეული.

სკოლის დირექტორი, ვაჟას შვილიშვილი ალექსი რაზიკაშვილი უყურებს ბავშვებს და ეღიმება. ასეთ გაკვეთილზე შეიძლება ყვავლამ ერთად ილაპარაკოს და იმღეროს კიდეც, — წესრიგი მაინც არ ირღვევა.

ვაჟას შთამომავალი, მანანა ხელაშვილი, ზარს რეკავს, ხმა ეხოებად იფანტება ხეობაში, ესმის სოფელს სასურველი ხმა, რომელიც ერთ დროს სანატრელი იყო დიდი მგოსნისათვის.

ხელგარჯილობის გაკვეთილი მთავრდება.

• • •

ფერდობს ბატკნები შემოეფინენ. პატარა, შავგვრემან ბიჭს წიგნები ამოუჩრია იღლიაში და მიჰყვება უკან.

— ეგ ჩვენი ხუთოსანი მოსწავლეა, შალვა ბაჩიაშვილი, — ამბობს რუსული ენის მასწავლებელი, ბაჩანას შვილი, გიგლა რაზიკაშვილი.

მართლაც სამაგალითო ბიჭია შალვა.

მალე არდადეგები დაიწყება და კოლმეურნეობას დაეხმარება ცხვრის მოვლაში. ასე იქნება წელს, ასე იყო შარშან. შეიძლება შორს გაჰყვეს ცხვარს, შორს, ამ მთების იქით, მაგრამ სადაც უნდა წავიდეს, იმ დღეებში მაინც ჩარგალში იქნება, როცა ბევრი სტუმარი ეწვევა ჩარგალს. მაშინ ბევრ რამეს გაიგებს საინტერესოს. გაიმართება სანახაობები: ჭიდაობა, ფარიკაობა, დოღი... შალვას კი სამთო დოღი ყველაფერს ურჩევნია.

ახლა კი ორიოდე ბატკანს მიჰყვება შალვა და ვაჟას ლექსებს იზეპირებს არდადეგების მოლოდინში.

• • •

ალექსი რაზიკაშვილმა მცხეთიდან ვაშლის ნერგები ჩამოიტანა. დაფაცურდნენ პიონერები; აბა, ბარი, აბა, თოხი; გადაძახება, გადმოძახება და ჟრიამული მოეფინა სოფელს. გაიჭრა ორმოები, მოიზიდა წყალი და ერთ მშვენიერ დღეს სკოლა-ინტერნატის ეზო ბაღად იქცა.

სექტემბრიდან გაიხსნება სკოლა-

ინტერნატი, ჩამოვლენ მოსწავლეები შორეული სოფლებიდან, მერე ახალი ნაცნობები, ამხანაგები, მეგობრები და სიხარული.

დურგლები საქმეს ეშურებიან, მებათქაშეები სხვაზე მეტად ჩქარობენ, პიონერებს კი უფრო მეტად ეჩქარებათ; აქეთ ფიცრის გაშალაშინებაში ეხმარებიან, იქით ცემენტის აზიდვაში და თანდათან საქმეც ცოტავდება.

თანდათან ახლოვდება პირველი სექტემბერი...

ჩარგალში შრიალებენ ვაშლის პირველი ხეები...

* * *

მანანა ხელაშვილი ხუთოსანია, ხუთოსანია ივანე კობაიძეც, სხვებიც არიან ხუთოსნები; რა თქმა უნდა, ზარმაცებიც არიან, მაგრამ ცხვარ-ძროხის მოვლა ყველას ერთნაირად ეხალისება.

თინა ცაბურაშვილი კოლმეურნეობის ძროხებს უვლის, ლალი ბეკურაული ბატკნებს.

„ვაჟას წყაროსთან“ ბიჭებს წამოვეწიეთ.

— გამარჯობათ, ბიჭებო!..

სალამზე სალამით გვიპასუხეს.

გავესაუბრეთ:

— სად იყავით? საით მიხვალთ?

ჩარგალში ყოფილიყვნენ, სკოლაში და ახლა შინ ბრუნდებოდნენ, მიგრიაულებში.

— არდადეგები დაიწყება და ცხვარში წავალთ, — გვიპასუხეს შეკითხვაზე.

— შენც? — შევეკითხე ყველაზე პატარას.

— მეც წავალ, რატომაც არა...

— შენ იქ რა უნდა აკეთო?!

— ცხვარს ხომ მოვაბრუნებ.

— ყოჩაღ, ეგეც საქმეა!..

* * *

დუშეთის პირველი საშუალო სკოლა ვაჟას სახელს ატარებს. სკოლა ორსართულიანია, — განიერი დერეფნებით და ნათელი საკლასო ოთახებით. აქვს დიდი ეზო მოფენილი ყვავილებითა და სპორტული მოედნებით.

სკოლას აქვს საინტერესო და მრავალფეროვანი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. რას არ ნახავთ აქ: მოვერცხლილ ყანწებს თუ ანარეფებს, მამაპაპეულ სატევარს თუ დოქებს... მონეტების კოლექცია ხომ საუცხოოა. ამით დუშელი პიონერები სამართლიანად ამაყობენ.

სკოლაში წრეებიც ბევრია: დრამწრე, ხატვის, ხელმარჯვეთა, ჩრდილებისა და თოჯინების თეატრი და კიდევ სხვებიც, რაც საერთოდ სკოლაში უნდა არსებობდეს. ეს ყველაფერი ბეჯით მოსწავლეებს ცოდნის ამაღლებაში ეხმარება.

* * *

პიონერთა ოთახში გამოცოცხლებაა, — ამზადებენ ვაჟას სახლ-მუზეუმის მაკეტს. ერთნი ჩარგალში ორდღიანი ლაშქრობის მარშრუტს ადგენენ, სხვები ღამის გასათევ ადგილს აზუსტებენ, — ღამე ხომ ღია ცის ქვეშ უნდა გაათიონ. კარვებიც მზად არის და სხვაც ყველაფერი, რაც საჭიროა. ხალისი ხომ არის და არის...

თოჯინების თეატრის მსახიობებს დიდი ხანია საქმე გაუჩნდათ; რეპეტიციას გადიან. ხუმრობა ხომ არ არის „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ინსცენირება!

აქ არიან მოწინავე პიონერები: ქეთევან კაიშაური, ირმა ბენდელიანი, გულნარა ბაშარული, თამაზ ქაშიაშვილი...

დუშელი პიონერები დაღესტნის ასს რესპუბლიკის გუნიბის სკოლა-

მუყაითად მეცადინეობენ ხელგარჯილობის გაკვეთილზე ჩარგალელი გოგონები.

მხარეთმცოდნეობის კუთხე დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერთა ოთახში.

ვაჟა მოგონებებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მამაჩემი უფრო ხშირად ღამ-ღამობით წერდა თავის ნაწარმოებებს. ოთახში ედგა ძველისძველი ხის ტახტი. ზედ ეგო მის მიერ მოკლული დათვის ტყავი, კედელზე ეკიდა ირმის რქები, ორი ქართული თოფი, ერთი ფანდური არწივის კლანჭებით. ოთახში იყო კიდევ ერთი მაგიდა, ზედ ელაგა კალამი, ქაღალდები. მეორე კუთხეში ჩვენი ტახტი იდგა.

როცა დავწვებოდი, საბნიდან ვუყურებდი მამაჩემს. მაინტერესებდა, თუ როგორ წერდა ლექსებს. ჩაფიქრებული იყო. ერთ კუთხესთან მივიდოდა, დიდხანს უცქერდა, შემდეგ მობრუნდებოდა, მაგიდას მიუჯდებოდა. დაწერდა რამდენიმე სტრიქონს, ჩონგურს დაუკრავდა, კიდევ დაწერდა. ამ დროს დედასაც და ბავშვებსაც ჩაეძინებოდათ, მე კი ისევ ცნობისმოყვარეობა მიტაცებდა. ვაკვირდებოდი. მამა ოთახში დადადიოდა, მოულოდნელად მივიდოდა მაგიდასთან, ისევ დაწერდა. არ მეგონა, თუ ლექსები სიარულით იწერებოდა.

ძალიან გაჭირვებით ვცხოვრობდით. როდესაც ვიხსენებ ჩვენი ცხოვრების სურათებს, გული მწუხარებით მევსება. ბევრმა დარდმა და ნაღველმა იმოქმედა მამაზე. აკი ამიტომაც იმსხვერპლა შუახნის კაცი.

მას ბევრი საზრუნავი ჰქონდა. თუ ვინმე მცირე გროშს ლექსებში მისცემდა, რომელი ერთი უნდა ეყიდა იმით, ჩვენ შევემოსეთ, თუ ოჯახში მოეხმარა, ამიტომაც უფრო ხშირად პირად სიამოვნებაზე ამბობდა უარს.

თამარ რაზიკაშვილი.

ვაჟა ფშაველას ქალიშვილი.

* * *

ხევსურებს ჩხუბი ჰქონიათ. ამ დროს გამოუვლიათ ვაჟას და ბაჩანას. გაუშველებიათ ეს ხევსურები, შეურიგებიათ და კიდევაც უპურმარილნიათ. ერთი ხევსური, გვარად ბალიაური, კარგი მოლექსე ყოფილა და ასეთი ლექსი უთქვამს:

„რაზიკაშვილებ მავიდნენ,
არ ვიცი რა იქნებისა.
მხარზე თოფ უძევ ვაჟასა,
მგელივით იბღვირებისა.
მტერს მტრულად უნდა დაუხვდეთ,
შიში არ შაიძლებისა.
ვინაც მოკვდება — დამარხვენ,
სხვა ისევ გაიზრდებისა“.

ჩაწერა VIII კლასის მოსწავლე **რ. ჭამაშვილმა.**

* * *

ვაჟა იყო ტანადი, მაღალი, მხარბეჭიანი, უყვარდა ლაზათიანად ჩაცმა. იცვამდა ჩოხა-ახალუხს უბის მასრებით, ჰქონდა ჩერქეზული (საკიდებიანი) ქამარი, ატარებდა ხმალხანჯალს.

სახლი ჰქონდა ძალიან უბრალო, დაბალი, კრამიტით გადახურული. ოთახი თახჩებიანი იყო, შებოლილი. თახჩაში ცოტა რამ ქაღალდები და წიგნები ელაგა.

ვაჟა ცხოვრობდა ისე, როგორც ცხოვრობდა საერთოდ ჩარგალში ყველა ფშაველი გლეხი. მუშაობდა ნამგალზე, ცელზე, გუთანზე. ყავდა საკუთარი საქონელი, ცხვარი.

ხასიათით იყო ძალიან ფიცხი, არავის არაფერს დაუთმობდა.

სოფელში თუ სადმე გამოჩნდებოდა „ნაჩალნიკი“, „სუდია“, „პრისტავი“ და დაინახავდნენ ვაჟას მათკენ მიმავალს, ხალხი მაშინვე აჩურჩულდებოდა: „ვაჟა მოდის, ვაჟაო“. ვაჟასი ყველას ეშინოდა.

ვაჟას მამას მე არ მოვსწრებივარ, მაგრამ ხალხი ასე იტყოდა ხოლმე — თურმე პავლეს (ვაჟას მამას) სიზმარი ენახა: ჩემი შვილები ჩემს ვარსკვლავს გამოუდგნენ, ყველას ვაჟამ გაასწრო და დაიჭირაო. იმ ცხონებულ პავლეს მართლაც აუხდა ეს სიზმარი.

შირაქში უჩხუბიათ თუშებს და ფშავლებს საძოვრების გულისათვის. თუშებს მოუყვანიათ მოსალაპარაკებლად ორი კაცი, ფშავლებს კი თავის მხრივ წაუყვანიათ ვაჟა. თუშებს სიცილი დაუყრიათ ფშავლებისათვის: ერთი კაცი მოიყვანეს და ისიც ცალთვალაო! მაგრამ ისეთ დღეში ჩაუყრია ვაჟას თუშები, რომ იძულებული გამხდარან, უფრო მეტიც დაეთმოთ.

ქეთევან შავერდაშვილი-ცალულელაშვილისა,
ვაჟას მეზობელი, 65 წლის მოხუცი.
ჩაწერა **ა. აგაშენაშვილმა.** 1961 წელი.

• • •

ჩვენს ოჯახს ვაჟა ფშაველასთან ნათელმირონობა აკავშირებდა. გარდა ამისა, ვაჟამ და დედაჩემმა ფიც-ვერცხლი „ჭამეს“ — ვერცხლის ფული ჩაფხიკეს დანით წითელ ღვინოში და დალიეს. მამაჩემისა ხომ უახლოესი მეგობარი იყო ვაჟა. მამაჩემი, ნიკოლოზ კახიშვილი, ჩარგალში მღვდლობდა. მათი მეგობრობა არ შეწყვეტილა მაშინაც კი, როდესაც მამაჩემი სოფ. ქისტაურში (ახმეტის რაიონი) გადმოიყვანეს მღვდლად.

ერთხელ ვაჟა გვესტუმრა. მე მაშინ 17 წლისა ვიყავი. სხვა სტუმრებიც გვყავდნენ. მიუხედავად დიდი ხვეწნისა, ვაჟა დიდხანს არ გაჩერებულა. მადლობა გადაიხადა, სუფრა დატოვა და გარეთ გამოვიდა. ცხენი მამაჩემმა მოჰგვარა. უცბად მომაგონდა ჩემი ალბომი, რომელშიც ამხანაგები ლექსებს მიწერდნენ ხოლმე. ვთხოვე, ალბომში ლექსი ჩაეწერა. მის პასუხს აღარ დველოდე და გავიქეცი ალბომის მოსატანად. მოვიტანე ალბომი, მაგრამ სანამ მოვიდოდი, ფურცელი ამოეღო და ლექსს წერდა. მალე დაამთავრა და გადმომცა. მე მას ხარბად დავუწყე კითხვა ისე, რომ ვერც კი გავიგე როგორ წასულიყო ვაჟა. აი ის ლექსიც:

თიკო ნიკოლოზის ასულს

რუსთაველის თინათინი
ავთანდილსა ღმერთად სცნობდა
მას შთაბერა ბრძენი სული
და იგიცა მუდამ ბრძნობდა.
ტარიელის და ნესტანის
მტანჯველებსა მეტად მტრობდა.
საქართველოს ტკივილებსა
გულს იმჩნევდა, ღრმადა გრძნობდა.
ღმერთსა ვთხოვ, რომ იმ თინათინს
დაემსგავსო შენაც, ქალო,
თიკო! შენსა ავთანდილსა
მოძმის ტრფობა დაავალო,
ამამაცო, არაინდო
და სხვაზედა არ გასცვალო.

ეს ფურცელი ალბომში ჩავაკარი
და სათუთად ვუფრთხილდები დღესაც.

თიკო კახიშვილი,
ქ. თელავი, 1961 წელი.



• • •

მამას უყვარდა სტუმარი და თვითონაც ხშირად დადიოდა სტუმრად. მას განსაკუთრებით უყვარდა ყვარულში დასთან სიარული. სახლში ზოგჯერ გვიან ბრუნდებოდა. მოსვლისთანავე მისი პირველი შეკითხვა იყო:

— როგორა ხართ, ყანა საქონელს ხომ არ დაალეინეთ, მეველეს ხომ არაფერ წაუღიაო.

მამა სათიბ-სამკალზე დადიოდა, საწერიც თან მიჰქონდა ხოლმე. ხშირი იყო ისეთი შემთხვევაც, რომ ჩვენ გამოგვიყვანდა ოთახიდან, თვითონ კი წერდა.

მას ძალიან უყვარდა სიმღერა ფანდურზე. განსაკუთრებით უყვარდა „მრავალჟამიერი“. უყვარდა გარმონიც და ხშირად მპირდებოდა გარმონის ყიდვას.

გულქან რაზიკაშვილი,
ვაჟას ქალიშვილი.
სოფ. ფუძნარი. 1961 წელი.

• • •

ვაჟა-ფშაველა ხშირად დადიოდა თიანეთში. მე ისევ პატარა ვიყავი, ის რომ მოხუცი იყო. მახსოვს მისი გარდაცვალება. იგი გარდაიცვალა მკათათვეში (ივლისი), დამარხეს ქალაქში (თბილისი). მისი ტანისამოსი ჩარგალში წამოიღეს. ძალიან დიდი ტირილობა ჰქონდათ. მისი ცოლი მხოლოდ ამას გაიძახოდა: „გენაცვალე, ლუკავ, გენაცვალე!“

ვაჟას ჰყავდა საღარი ცხენი, უღელი ხარი, და საკუთარი წისქვილი ჰქონდა. ვაჟას ძმისშვილები რომ მოიტანდნენ საფქვავს, გულქანი ეტყოდა ხოლმე:

— მამავ, დავაფქვევინო თუ არა? ვაჟა ეტყოდა: — დააფქვევინე, მხოლოდ წისქვილი არ მომიშალოთ, ნედლი საფქვავი არ დააყაროთ და, რომ დაფქვავთ, წისქვილი დაკეტეთ, გასაღები მე მომიტანეთ.

მარიამ უამიაშვილი-გონჯილაშვილისა
სოფ. ჯიჯეთი.

ჩაწერა ზარიძეების 8-წლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ვენერა გონჯილაშვილმა.
1961 წელი.

ჩოჯინ ჰუდი

(ინგლისური ლეგენდა)

რობინ ჰუდი და მისი რაზმი შერვუდის ტყეში ცხოვრობდა. რაზმში ობოლ და-ძმას შეეფარებინა თავი — ცამეტი წლის ჯეკსა და მის დას.

ერთ დღეს რობინ ჰუდმა ბავშვებს ამხანაგთან წერილი გაატანა ქალაქ ნოტინჰემში. უკან დაბრუნებისას ბავშვებმა კედელზე დიდი განცხადება დაინახეს. ბიჭი შეჩერდა და წაიკითხა:

15 ფუნტი
რობინ ჰუდის დაჭერისათვის
ნოტინჰემის შერიფი

ბავშვები დაბრუნდნენ ტყეში, რობინ ჰუდი ნახეს და უთხრეს:

— რობინ ჰუდ, ნოტინჰემის შერიფს სურს შენი დაჭერა. იგი 15 ფუნტს ჰპირდება, ვინც შენს ადგილსამყოფელს ასწავლის, ჩვენ თვითონ წავიკითხეთ განცხადება. როგორ მოიქცევი ახლა?

— ხა-ხა! მე არ მეშინია შერიფის, ჩავალ მასთან და იგი მომცემს 15 ფუნტს ჩემს დასაჭერად!

— ო, რობინ ჰუდ, — წამოიძახეს ბავშვებმა, — არ წახვიდე ნოტინჰემში!

— ნუ გეშინიათ, — თქვა რობინმა, — დარწმუნებული ვარ ვერ მიცნობს.

რობინ ჰუდი წავიდა.

ოციოდე წუთის შემდეგ ბავშვებთან გრძელწვერა მოხუცი მივიდა და ჰკითხა:

— ბავშვებო, ხომ არ შეგიძლიათ მიმასწავლოთ, სად ცხოვრობს რობინ ჰუდი?

— რობინ ჰუდთან რა საქმე გაქვთ? — იკითხა ბიჭმა.

უცებ მოხუცმა სიცილი დაიწყო — ეს იყო თვითონ რობინ ჰუდი.

— ვერ გიცანით, — უთხრა გოგონამ.

— მე მივდივარ მოხუც შერიფთან, — თქვა რობინ ჰუდმა. — თქვენც წამოდით ბავშვებო.

წავიდნენ ქალაქ ნოტინჰემში. შერიფის სახლს რომ მიუახლოვდნენ, აქ დამელოდეთო, — უთხრა რობინ ჰუდმა ბავშვებს და სახლში შევიდა.

— რა გინდა, მოხუცო? — ჰკითხა შერიფმა.

— მე შემიძლია მიგასწავლო რობინ ჰუდის ადგილსამყოფელი, — უთხრა მოხუცმა.

— შეგიძლია? — შეეკითხა შერიფი, — მე შენ 15 ფუნტს მოგცემ, რობინ ჰუდთან თუ წამიყვან.

— მოდი ხვალ ტყეში, ძველ მუხასთან, და პირისპირ შეხვდები მას, — უთხრა მოხუცმა.

— ძალიან კარგი! — თქვა შერიფმა, — ორ კაცს წამოვიყვან თან.

— არ დაგავიწყდეს 15 ფუნტის მოტანა! — უთხრა მოხუცმა და გამოვიდა სახლიდან.

— წამოდით, ბავშვებო, — მიმართა და-ძმას, და ისინი ტყეში დაბრუნდნენ. აქ რობინ ჰუდმა მოუხმო თავის რაზმს და მათ გეგმები დააწყვეს მომავალი დღისათვის.

— აი, ძველი მუხა, — თქვა შერიფმა, როდესაც ორ კაცთან ერთად დანიშნულ ადგილას მივიდა.

— მე ვერ ვხედავ მოხუცს, — თქვა შერიფის ერთ-ერთმა მხლებელთაგანმა.

— გავიქცეთ! — შეჰყვირა შერიფმა, — ეს ალბათ ნამდვილად!

მაგრამ უკვე გვიან იყო. რობინ ჰუდის რაზმელებმა შეიპყრეს ისინი და თვითონ რობინ ჰუდთან მიიყვანეს.

— ა! ეს თქვენ ბრძანდებით, მეგობარო შერიფ? თქვენ მე ვერ მიცანით გუშინ? — მიმართა რობინ ჰუდმა.

— მე თქვენ არ მინახიხართ გუშინ! — უპასუხა შერიფმა.

— არა, მნახეთ! — უთხრა რობინ ჰუდმა. — ეს მე მოგასწავლეთ რობინ ჰუდის ადგილსამყოფელი. ახლა მე ჩემი 15 ფუნტი მინდა.

— თქვენ ის მოხუცი ხართ, რომელიც ჩემთან იყო გუშინ? — წამოიძახა შერიფმა.

— დიახ, — უპასუხა რობინ ჰუდმა, — მე ის მოხუცი ვარ. ახლა დამიჭირეთ, თუ შეგიძლიათ!

— რობინ ჰუდ, გამამასხრე დღეს, მაგრამ მე შენ დაგიჭერ სხვა დროს! — უთხრა შერიფმა.

— მე შენი არ მეშინია — უპასუხა რობინ ჰუდმა. — აქ მოიტა ჩემი 15 ფუნტი!

— არ მოგცემ ფულს! — წამოიძახა შერიფმა.

— სიტყვა სიტყვაა! — უთხრა რობინ ჰუდმა, — მაშინ ჩემი ტყვე იქნები!

შერიფმა მისცა 15 ფუნტი, სხვა რა გზა ჰქონდა.

— მე ჩემთვის არ მინდა ფული, — თქვა რობინ ჰუდმა, — ღარიბებს მივცემ. — თქვენ კი ახლა შეგიძლიათ წაბრძანდეთ.

და ნოტინჰემის შერიფი მხლებლებითურთ წაბრძანდა.

ინგლისურიდან თარგმნა 54-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე **მანანა ანთაძემ**

ნახ. **ვ. ბელეცკაიასი**

ერთი წუთი

ერთი წუთი... თითქოს დროის მცირე მონაკვეთია, სულ რაღაც 60 წამი. მაგრამ დაფიქრებულხართ თქვენ, რამდენი რამ შეიძლება გაკეთდეს წამმზომის ერთ შემობრუნებაში? თურმე ძალიან ბევრი.

ერთ წუთში ჩვენს ქვეყანაში ადნობენ 130 ტონა ფოლადს, წიაღიდან ამოაქვთ 310 ტონა „შავი ოქრო" — ნავთი, 250 ტონამდე რკინის მადანი, 970 ტონამდე ქვანახშირი. ელექტროსადგურები იძლევიან 620 ათას კილოვატსაათ ენერგიას.

ეს მხოლოდ მშრალი ციფრებია. აბა, ვნახოთ რა დგას ამ ციფრებს უკან.

130 ტონა ფოლადი—ეს 12 ავტომანქანაა, 88 — ტრაქტორია. ერთ წუთში წიაღიდან ამოღებული ქვანახშირის გადასატანად მატარებლის ერთი შემადგენლობა ერის საჭირო.

620 ათასი კილოვატსაათი ენერგია რაღას ნიშნავს? წარმოიდგინეთ მოზრდილი, 400 კომლიანი სოფელი. ერთ წუთში გამომუშავებული ენერგია ამ სოფელს 3 წლის მანძილზე ეყოფოდა.

რა შეიძლება მივიღოთ 310 ტონა შავი ოქროსაგან? 210 ტონა ბენზინი. ეს კი საკმარისია, რომ 30 ავტომანქანამ დედამიწას შემოუაროს გარშემო.

ნავთისაგან, როგორც ცნობილია, მიიღება ბევრი სხვა ნივთიერება, ასე მაგალითად, ერთ ტონა ნავთისაგან შეიძლება დამზადდეს 25 ათასი წყვილი კაპრონის წინდა.

საინტერესოა ფეხსაცმლის წარმოების ტემპი. ყოველ წამში კონვეიერიდან ჩამოდის 28 წყვილი ფეხსაცმელი. ასე რომ, ასიათასიანი ქალაქის მოსახლეობა ფეხსაცმლით ერთ საათში კმაყოფილდება.

ეს კიდევ არაფერი. კიდევ უფრო დიდია წუთის მნიშვნელობა საამშენებლო საქმეში. ასე მაგალითად: 15 წამში ჩვენში შენდება ერთი ბინა. ესე იგი საათში — 240 ბინა.

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო იზრდება წუთის ფასი, ინერგება ახალი ტექნიკა, შრომის პროგრესული მეთოდები. ყველაფერი ეს ზრდის შრომითი წუთებისა და წამების მნიშვნელობას. აი, როგორ იზრდება დროთა განმავლობაში ჩვენში წუთის „შრომისუნარიანობა".

1961 წელს ყოველ წუთს გამოდნობილი იქნება 100 ტონა თუჯი. ამდენი თუჯის გამოდნობას 1930 წელს 10 წუთი სჭირდებოდა, 1934 წელს — 5 წუთი, 1952 წელს — 2 წუთი. ასევე სწრაფად იზრდებოდა მინერალური სასუქების მოპოვება. 1951 წელს ჩვენ ვამზადებდით 20 ტონა ქიმიურ სასუქს წუთში, 1954 წელს — 27 ტონას, 1957 წელს — 40 ტონას, ხოლო 1960 წელს უკვე 50 ტონას. წუთის ფასი ათი წლის განმავლობაში ორნახევარჯერ გაიზარდა. ეს დიდი ზრდა კულტურული და საყოფაცხოვრებო საგნების წარმოებაშიც ჩანს, ასე მაგალითად: 1940 წელს წამში მზადდებოდა 1 ველოსიპედი, 1956 წელს — 12; საათები: 1940 წელს — ცხრა ცალი, 1960 წელს — 100; ფოტოაპარატები: 1940 წელს — ერთი, 1959 წელს — 6; ტელევიზორები: 1956 წელს — 2, 1960 წელს — 6.

ასე „ძვირია" ჩვენს ქვეყანაში შრომითი წუთი! და ეს არც ისე გასაკვირია, რადგან მთელს კავშირში მუშებისა და მოსამსახურეთა შრომითი წუთი 240 ათას შრომით კაც-დღეს შეადგენს.



ძეგლი ჯვარი

სოსო იორამაშვილი — ნახ. **რ. ცუცქირიძისა**

მოთხრობა*

აი, ის ძირიდან შებმული კარი-მეთქი! — შევძახე გახარებულმა და იქვე ქვაზე ჩამოვჯექი, რადგან ახლა მისი დათვალიერება იყო საჭირო, ხოლო ისე, მოუფიქრებლად შიგ ჩასვლა ყოვლად შეუძლებელი მომეჩვენა.

სასწრაფოდ ზურგჩანთებიდან ჯიბის ელექტროფარნები ამოვიღეთ, სანადირო თოფი მხარზე გადავიგდე, ჯიბის დანები მოვიმარჯვეთ და ჩავყევით კიბეს. სულ წინ, რა თქმა უნდა, მე მივდიოდი, როგორც უფროსი, უკან კი ბიჭები მომდევდნენ.

თორმეტი საფეხური რომ ჩავათავეთ, ისეთსავე ქვის კიბეებზე, რომლის ფიქალითაც ეკლესიის იატაკი იყო მოგებული, ერთ პატარა დერეფანში შევჩერდით, რომელსაც ორი კვადრატული მეტრი ფართობი თუ ექნებოდა. იქიდან შავად პირდაღებული ხვრელი მკვეთრად შებრუნდა კლდის მხარეს და ჩვენც იქით მივაბრუნეთ ჩვენი ფარნების მკრთალი სინათლე.

მე დარწმუნებული ვიყავი, ხვრელი იმ ბაქანიდან პირდაპირ კლდის სიღრმეში წაგვიყვანდა, მაგრამ, რამდენიმე ნაბიჯი გავიარეთ თუ არა, კვლავ ქვის კიბეებს წავაწყდით. იქიდან ისევ მაღლა წავიდა ხვრელი.

წინ მივიწევდით გაუბედავად, რადგან გვეშინოდა, გამოფიტული კლდის ქანები არსად ჩამონგრეულიყო და კოცხლად შიგ არ დავემარხეთ. მივაბიჯებდით, ვიწევდით მაღლა-მაღლა და კიბის საფეხურებს ვითვლიდით. თან კედლებს ვსინჯავდით და ვაკვირდებოდით, — სხვა შესახვევიც არ ჰქონოდა სადმე და არ გამოგვრჩენოდა.

სრული ორმოცდაორი საფეხური რომ ავათავეთ, ერთ ნათელ და ფართო დარბაზში ამოვყავით თავი, რითაც ძალზე გაკვირვებული დავრჩით. სინათლე კლდეში გამოჭრილი სანათურიდან შემოდიოდა და იმ სანათურში რომ გავიხედე, ჩვენი ნაცნობი ქაჩალ-გორის მაღალი კლდე თითქოს ჩარჩოში ჩაუსვამთო, ისე გამოჩნდა შიგ.

იმ დარბაზიდან ხვრელმა კიდევ სხვა პატარ-პატარა ოთახებში გაგვიყვანა, რომელთა რიცხვი შვიდს შეადგენდა. ყველა ოთახში სინათლე მსგავსი სანათურებიდან შემოდიოდა, რომლებიც გარედან ან სრულიად შეუმჩნეველნი იყვნენ, ან არადა, კვირიონის ბუდის მსგავს პატარა სოროებივით მოჩანდნენ.

ასეთი ოთახები მე ვარძიაშიც მინახავს და მაინც და მაინც ჩემთვის ახალი არაფერი იყო, მაგრამ ბიჭები თვალებდაჭყეტილები ათვალიერებდნენ და აღარ იცოდნენ რითი გამოეხატათ თავიანთი განცვიფრება, ხოლო გაკ-

---

* გაგძელება. დასაწყისი იხ. „პიონერი" № 6.

ვირვებას მაშინ უკვე საზღვარი აღარა ჰქონდა, როდესაც ერთ ოთახში იარაღის საწყობი აღმოჩნდა. ჭილობებში და ჯვალოს ტომრებში შეხვეული ეწყო: ბომბები, რევოლვერები, ბერდენის სისტემის თოფები და ამ იარაღისათვის საკმაო ვაზნები თუთიის პატარა ტყვიებით.

— ძია ლადო! — ვეღარ დამალეს ბიჭებმა თავიანთი სიხარული და თითქმის ერთხმად შემომძახეს, — ახლა ხომ თოფები ჩვენც გვექნებაო. მაგრამ სასტიკად გავაფრთხილე ყმაწვილები, — ჩემი ნებართვის გარეშე ხელი არაფრისთვის ეხლოთ.

რაღა დასამალია, თავს ვიკავებდი, თორემ იმ ბიჭებზე უფრო გახარებული მე ვიყავი ასეთი აღმოჩენით და ჩემთვის გულში ვიმეორებდი: ვინ? საიდან? როგორ? როდის?

ვათვალიერებდი ოთახებს და ერთიმეორეზე განსაცვიფრებელ სურათებს ვაწყდებოდი. ერთ ოთახში საიდუმლო სტამბაც კი აღმოვაჩინეთ: შუაგულში იდგა ხელით სატრიალებელი, მტვერდადებული პატარა საბეჭდი მანქანა, რომელსაც გვერდზე დასტებად ელაგა რვეულის ზომაზე დაჭრილი ათასიოდე ფურცელი დაობებული, დამპალი ქაღალდი. კუთხეში სამი პატარა თუნუქის ყუთი იდგა, რომელთაგან ერთი თავახდილი იყო და ორი თავდახურული, მაგრამ სამივეში ჩამხმარიყო საბეჭდი საღებავი, ხოლო სამ საშრიფტე სალაროს ისე დასდებოდა მტვერი დროთა ვითარებაში, რომ ასოები აღარც კი ჩანდა უჯრედებში, სანამ ხელით არ გადავქექეთ.

მთელ სტამბაში იმ ქვესკნელის პოლიგრაფისტებს მხოლოდ რამდენიმე კილოგრამი ორი ზომის შრიფტი ჰქონდათ. ორივე ფერის პეტიტი და კორპუსი თავიანთი მთავრულებით. სალაროზე ეგდო ორი სადგისი.

ერთ ოთახში უფრო საინტერესო რამ აღმოვაჩინეთ. ეს იყო სახელდახელო წესით ბომბების საკეთებელი სახელოსნო, სადაც პატარა კასრებით საჭირო ასაფეთქებელი მასალა, ფერადი ლითონების ფურცლები, ალუმინის სიმსხოდ ჩამოსხმული „კარტეჩი“ პატარ-პატარა პარკებით, კაფსულებით, დინამიტის ცომი და პატრუქი ელაგა. გარდა ამისა, იქვე იდო ორი პატარა ქანჩი, პატარა გრდემლი, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ქლიბები და ჩქიფები.

მაგრამ, რამაც მე ყველაზე უფრო გამახარა, ეს იყო მუყაოს ყდაში ჩასმული, თითქმის ნახევრამდე დაწერილი სქელი ჟურნალი. აი, სწორედ ამ ჟურნალში ვიპოვნე პასუხი კითხვებზე, რომლებიც მე მაწუხებდა და მოსვენებას მიკარგავდა.

გარდა იმ ჟურნალისა, იყო კიდევ ერთი შედარებით თხელი ჟურნალი, რომელშიაც ეწერა მთელი სამეურნეო საქმიანობა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებურ ბუღალტერიას წარმოადგენდა. იმ ჟურნალმაც არანაკლები დახმარება გამიწია ზოგიერთი რამის გარკვევაში.

აი, სწორედ იმ თხელი ჟურნალიდან გავიდე თუ რას ერქვა „სეფისკვერი“, ან რა იყო „სანთელი“ და „კელეპტარი“ იმათს ენაზე. ეს კი მაშინ გავიგე, როდესაც იარაღი გადავთვალე და მათი რაოდენობა თხელი ჟურნალის ერთ გრაფაში ჩაწერილ რიცხვს შეეფარდა.

მაგალითად, ჟურნალში ეწერა: „საკუჭნაოში ინახება 180 ცალი სეფისკვერი, 38 — სანთელი, 120 — კელეპტარი და 6 ყუთი საკმელიო“.

ხოლო როცა ბომბები გადავთვალე, ისინი სეფისკვერის რიცხვის ოდენი, ესე იგი, 180 ცალი აღმოჩნდა. აქედან მივხვდი, რომ მათი ჟარგონით სეფისკვერი იყო ბომბი. ასევე რევოლვერები — სანთლები — 38 ცალი



აღმოჩნდა, „ბერდენის“ სისტემის თოფები — 120 ცალი. და ექვსი ყუთი საკმელი; ეს უკანასკნელი ვაზნების რაოდენობას დაემთხვა.

აი, ის, რისი წაკითხვაც ერთი თვალის გადავლებით მოვასწარი, უდიდესი სურვილი კი მქონდა, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებდი ვინმესთვის მეცნობებინა იმ საიდუმლო გამოქვაბულის ამბავი, მანამ დაწვრილებით წამეკითხა, რა ეწერა იმ ჟურნალებში.

მაგრამ ვინ მაცლიდა?! იპოვნიდნენ თუ არა რაიმე წვრილმან ნივთს ბიჭები, რომელი რომელს მოასწრებდა, ეუდმოგლეჯილები მორბოდნენ ჩემთან და გულამოვარდნილები მაჩვენებდნენ: ძია ლადო! აი, კიდევ რა ვიპოვნეთო. ყმაწვილებს რომ ჩემთვის იმ ჟურნალების წაკითხვაში ხელი არ შეეშალათ, ხერხს მივმართე, დავუძახე სამივეს და ასეთი დავალება მივეცი:

— აბა, ბიჭებო! ეს ყველაფერი ძალიან კარგია. რაც აქ აღმოვაჩინეთ, ამისათვის ჩვენ გვეტყვიან მადლობას და ამაში ვერავინ შეგვეცილება, მაგრამ, ხომ იცით, ჭამა გვინდა, ჩვენს ჩანთებში კი სურსათის მარაგი ძალზე შემცირდა. ამიტომ ძალიან კარგს იზამდით, თუ ერთ კარგ ნადირობას მოაწყობდით. ხუმრობა საქმე ნუ კი

გგონიათ, ყმაწვილებო! რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ამას ახლა აღარც ისე ადვილად მინებდება თავი და ჩვენც ჯერ-ჯერობით აქ მოგვიხდება დარჩენა!

— მე პირადად ახლა იმისათვის არა მცალია,—სანადიროდ და პურის საშოვნელად წავიდე, რადგან, ჯერ პირველ რიგში, აი, ამ ჩანაწერებს უნდა გავეცნო და როგორც საჭიროდ ჩავთვლით, მერე ისე ვიმოქმედოთ.

სამთავენი დიდის ყურადღებით მისმენდნენ.

— ჩხიკვებსა და ხეკაკუნებზე ნუ მოცდებით. ეცადეთ მსხვილ ნადირს მიაგნოთ სადმე. რა თქმა უნდა, ირეკს ხელი არ ახლოთ, ხოლო ერთი შვლის, ან ორი კურდღლის მოკვლის უფლებას გაძლევთ. თუმცა ახლა მათზედაც აკრძალულია ნადირობა ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო მე გაძლევთ ამის უფლებას და პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვღებულობ. გარდა ამისა, ფულს გაგატანთ, იპოვეთ სადმე სოფელი და ერთი სამიოდე დღეს რომ გვეყოფა, იმდენი პური იყიდეთ.

ბიჭებს ასეთი დავალების მიღება არა სწყენიათ, სიხარულით გამომართვეს სანადირო თოფი და სავაზნე, მაგრამ შევატყვე, რომ ერთმანეთს თვალებით რაღაცას ანიშნებდნენ, ჩურჩულებდნენ, წასვლაზე თითქოს ფეხს ითრევდნენ და არა ჩქარობდნენ.

ბოლოს ნიკუშამ გატეხა ნავსი და გაუბედავად აბუზღუნდა:

— ძია ლადო! სამი კაცი ერთი თოფათ წავიდეთ?! ახლა ხომ არის თოფები. ეს თქვენი „ცენტრალკა“ გიამ დაიჭიროს, მე და ჯაბას კი, იქ რომ თოფებია, ისინი მოგვეცით. — და ბიჭმა ხელი იმ ოთახებისაკენ გაიშვირა, სადაც იარაღი იყო მოთავსებული.

ცხადია, მე იმას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებდი, — მრისხანე საბრძოლო იარაღი გამოუცდელი ყმაწვილებისათვის მიმეცა. მეტი ჯანი არც ჰქონდათ ბიჭებს, ან სამივენი ისევ იმ ერთი თოფით უნდა წასულიყვნენ სანადიროდ, ან არა და, სულაც უარი ვუთხარი: აბა, თუ არ გინდათ, დასხედით სანამ მე ამ ჩანაწერებს გადავიკითხავდე და ამთქნარეთ, რამდენიც გინდათ-მეთქი.

ასეთი ხერხით ბიჭები როგორც იყო მოვიცილე. მეც დამშვიდებული გამოვედი გამოქვაბულიდან, თელების ძირში ერთ ჯირკზე ჩამოვჯექი და შევუდექი კითხვას.

* * *

პირველ რიგში შესავალმა განმარტებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება იმ სქელ ჟურნალში და უფრო გულდასმით შევუდექი კითხვას. აი, როგორ იწყებოდა იგი:

1908 წელი

„ეს ჩანაწერები მხოლოდ ჩემთვის არის საჭიროც და გასაგებიც, სხვისთვის ჯერჯერობით არა აქვს რაიმე ღირებულება, რადგან აქ მოხსენიებული ადამიანების სახელები კონსპირაციული მოსაზრებით ყველგან შეცვლილი მაქვს. თვითონ მეც ვითომ გაიოზი მქვია, სინამდვილეში კი ჩემი სახელი სულ სხვა არის და გვარებს საერთოდ არც ვასახელებ სადმე.

დაე, დროებით ვიყო „მამა გაიოზი“. თუ მოვიდა დრო, მაშინ პირველად ჩემს ნამდვილ გვარსა და სახელს ჩავწერ „მამა გაიოზის“ ნაცვლად და მერე სხვათა ვინაობასაც გავამჟღავნებ, რომ ყველას თავისი მიეზღოს. დრომდე კი ამის გაკეთება, მე მგონია, ერთობის საქმის გაცემა იქნებოდა და საფრთხის მეტს არავის არაფერს მოგვიტანდა.

ამიტომ, თუ მე ვერ მოვესწარ იმ ბედნიერ დღეს, როდესაც ხალხი ორთავიანი არწივის კლანჭებისაგან გათავისუფლდება, მაშინ ვთხოვ მაპატიონ მათ, ვისაც ეს ჩემი აბდა-უბდა ჩაუვარდება ხელში.

მაშ, ასე! რაც დღევანდლამდე მოხდა ჩემს გარშემო საინტერესო და ჩემის აზრით ღირსშესანიშნავი, მუდმივ-დები მოგონებების სახით გადავიტანო ქაღალდზე. დანარჩენს კი ცალკეული ჩანაწერებით შევავსებ.

* * *

თვრამეტი წლისა რომ შევსრულდი, ბიძაჩემმა მიხმო და სერიოზული ტონით მითხრა:

— გაიოზ! მე შენს მაგივრად კომიტეტში თანხმობა მივეცი, რომ ერთ სერიოზულ დავალებას იკისრებ და, წარმოიდგინე, თუმცა იმათ არც უნახავხარ, მაგრამ ჩემი დახასიათებით გიცნობენ. აბა, შენ იცი, თუ გაამართლებ ჩვენს ნდობას!

— რა დავალებაა, ძია მიშა? — შევეკითხე და გუნებაში გამეხარდა, რადგან, მართალია, მათი კომიტეტიდან პირადად არავის ვიცნობდი, მაგრამ ძია მიშას გადმოცემით ვიცოდი, რასაც ნიშნავდა მათი ნდობა და რას წარმოადგენდა მათი კომიტეტი.

ისინი სულ ისეთი დარჩეული მებრძოლები იყვნენ, რომ თითო მათგანი ოდნავადაც არ შეყოყმანდებოდა და, თუ საჭირო იყო, მარტოდ-მარტო შეებმოდა ჟანდარმთა ასეულს. ისინი შეადგენდნენ საექსპროპრიაციო ჯგუფს და ამ ჯგუფშივე ჰქონდათ თავიანთი ბიურო. მთლიანად ჯგუფი კი ცენტრალურ კომიტეტს ემორჩილებოდა და დავალებებსაც მისგან ღებულობდა.

ცხადია, იმ რჩეულ ვაჟკაცთა ჯგუფში შესვლა, რომელთა საზღაპრო საქმეებზეც მიამბობდა ხოლმე ძია მიშა, ჩემთვის მეტად სასიხარულო იყო. გულისფანცქალით მოველოდი, რას დამავალებდა ძია მიშა.

— ნუ ჩქარობ, გაიოზ! მაგას მერე გაიგებ. მთავარი ის არის, ხომ არ შეგეშინდება, ბიჭო! სხვაც მაფიქრებს— ერთი ღერი კაცი ხარ, ამაზე გიფიქრია?

მართლაც, უნდა გამოვტყდე, ასეთ რამეზე სრულებით არასოდეს არ მიფიქრია, რადგან ჩემის აზრით სიკვდილი ყველასათვის ერთი უნდა ყოფილიყო და გინდაც მყოლოდნენ და-ძმანი, ან მშობლები, რით შეეძლოთ მათ ჩემთვის სიკვდილის საშინელება შეენელებინათ.

ეს რომ ავუხსენი ძია მიშას, სახეზე კმაყოფილების ელვა გადაჰკრა, ოღონდ ისევ სერიოზულად მკითხა:

— გაიოზ! მე, როგორც შენს ბიძასა და მეურვეს, იმის უფლება არა მაქვს, შენი სიცოცხლე საფრთხეში ჩავაგდო, მაგრამ როგორც რევოლუციონერი, ჩემს თავს ნებას ვაძლევ დაგაყენო იქ, სადაც უფრო გამართლებული იქნება შენი ყოფნა. ოღონდ ერთი რამ მაინტერესებს ვიცოდე: თუ გიყვარს ის საქმე, რისთვისაც საფრთხეში იგდებ თავს ამჟამად? თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი თავგანწირვა სრული უაზრობა იქნებოდა.

და ბიძაჩემი დიდხანს მესაუბრა იმაზე, თუ რა ხდებოდა რუსეთის იმპერიაში, რისთვის იბრძოდნენ რუსეთის პროგრესული ძალები, ან ამას როგორ ეხმარებოდა ახლადგამოღვიძებული საქართველოს მუშათა კლასი და მოწინავე ინტელიგენცია.

ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, რთული იყო ბიძაჩემის კითხვები. მიუხედავად ამისა, საკმაოდ კარგი პასუხები მივეცი; მაშინ გიმნაზიის მეექვსე კლასიდან ვიყავი დათხოვნილი, როგორც არასანდო პიროვნება და საკმაო განათლებაც მქონდა მიღებული.

ამ საუბრის შემდეგ დამშვიდებულმა ბიძაჩემმა მიმიყვანა თავის ერთ მეგობართან და გამაცნო, რომელსაც სახელად რამანი ერქვა.

აი, სწორედ ამ რამანის სახელზე აეღო პატენტი ორგა-

ნიზაციას და ღრმაღელეში, ქალაქის განაპირას, ერთი პატარა სასაუზმე გაეხსნა, რომლის სარდაფიც იარაღის საწყობად იყო გადაქცეული, ზევით კი, ვითომ ფულის მოგების მიზნით, მუდამ ჰქონდათ მაგარი სასმელები და ცივი საუზმე.

ბიძაჩემის დახასიათებით, იმდენი ნდობა გამომიცხადა ორგანიზაციამ, რომ ბუფეტში მომუშავე ბიჭად ამიყვანა და იმ დღიდან ის საიდუმლო საწყობი მე ჩამაბარა.

ორგანიზაციის წევრებიდან მხოლოდ ბიძაჩემსა და რამანს ვიცნობდი. მათ გამაცნეს ჩემი მოვალეობა და სასტიკად გამაფრთხილეს: მომხმარებლებთან არასოდეს ხმაური და აყალ-მაყალი არ ამეტეხნა, რომ საიდუმლო საწყობი საფრთხეში არ ჩამეგდო. ასე დავიწყე ჩემი პირველი არალეგალური მუშაობა.

დღისით მუშტარს ვემსახურებოდი, ღამით კი იარაღის მიღებასა და გაცემას ვუნდებოდი. მომივიდოდა რამანის ხელმოწერილი ქაღალდი: „გაიოზ! ამ ბარათის მომტანს გამოატანე ორი ცალი შამაია და ოთხი გირვანქა ცოცხალი“.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ორი ცალი დამბაჩა და ოთხი ათეული ვაზნა უნდა გამეტანებინა ბარათის მომტანისათვის.

ან კიდევ: „გაიოზ! გამოატანე სამი ცალი გაუჭრელი დოში და ექვსი გირვანქა ცოცხალი“. ეს ნიშნავდა, გამეტანებინა სამი ცალი ბერდენის სისტემის თოფი და ექვსი ათეული ვაზნა. ხოლო თუ „ვაშლებს“ მოითხოვდნენ, ბომბები გამეტანებინა. და ასე, ყველაფერს თავისი სახელი ჰქონდა.

პირველ ხანებში საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთხელ ღამით, გლდანელი თუ ავჭალელი მთვრალი მეველეები მოვიდნენ და ღვინო მოითხოვეს, მე მათ ავუხსენი: ასე გვიან ღამით, ისიც მთვრალ ხალხს ღვინოს ვერ მივცემ-მეთქი. მაგრამ ვინ მომეშვა! კომბლებით იქაურობის ჩამტვრევით იმუქრებოდნენ და მლანძღავდნენ: შე ძაღლიშვილო! ფულის მოგება გინდა და თავის შეწუხება კი აღარაო?!

რაკი სხვა გამოსავალი არა მქონდა, ისევ ვეღიჭინებოდი: ძია-კაცო! გენაცვალე! უფლება არა მაქვს, თავი დამანებე-მეთქი. მაგრამ ისინი უფრო გადაირივნენ: დაუშინეს კომბლები ვიტრინას და ბოთლებს სულ ლაწალუწი აუტეხეს. ერთი ორიოდე მეც მომაყოლეს ზურგში და გულმოხეულები წავიდნენ.

სიბრაზით სულ ტუჩებს ვიკვნეტდი. მაგრამ გამახსენდებოდა დარიგება და თავს ვიოკებდი, თორემ რამდენჯერ ვიფიქრე, ამეღო იარაღი და იქვე დამეწვინა ის მთვრალი მოძალადეები, და ახიც იქნებოდა. მაგრამ იარაღის საწყობი ხომ საფრთხეში ჩავარდებოდა? ამიტომ ის ცემაც ავიტანე და ბოთლების დამტვრევასაც შევურიგდი, ოღონდ მეორე დღეს რამანს ვუთხარი, რომ „დახლიდარად“ ვეღარ ვიმუშავებდი.

ჩემს განცხადებაზე რამანს გაეცინა და მითხრა:

— არა უშავს რა, გაიოზ! თუ მებრძოლი ხარ, ზოგჯერ ეგეც უნდა აიტანო! სულ მუდამ შენ კი ვერ ურტყამ მტერს, ბრძოლა ისეთი რამ არის, ზოგჯერ შენც მოგვხვდება. რა ვუყოთ მერე! რაც შეეხება შენს თავდაჭერილობასა და მოთმინებას, ამ თავდასხმასთან დაკავშირებით, უნდა ვაღიარო, სწორედ დიდებულად მოქცეულხარ. თორემ, შენ რომ იქ თავი გამოგედო, და იარაღი გეხმარა, თავსაც დაიღუპავდი და საწყობსაც და ორგანიზაციასაც დიდ საფრთხეში ჩააგდებდი. ასე, ჩემო გაიოზ! ამაზე ყველაფერს ვაცნობებ ცენტრალურ კომიტეტს და, პირიქით, ამის შემდეგ უფრო რთულ დავალებებს უნდა ელოდო.

* * *

მართლაც, არ გასულა დიდი დრო, რომ ახალი დავალება მივიღე. მე და ორ რაზმელს, რომლებსაც შალვასა და ტუხას ვარქმევ, ერთი მეტად რთული ამოცანა დაგვისახეს.

ეს ის გახლდათ, რომ იმ დროს დიდძალი საქმეები ჰქონდა ორგანიზაციას გასაკეთებელი და ფულიც ბევრი სჭირდებოდა. იმ ხანებში აღმოაჩინეს სწორედ მეფის აგენტებმა თბილისში საიდუმლო სტამბა და დაარბიეს. საჭირო კი იყო სასწრაფოდ ახალი სტამბის მოწყობა. გარდა ამისა, დიდძალი იარაღი იყო შესაძენი ხალხის შესაიარაღებლად, ყველა ამას კი ფული ესაჭიროებოდა.

რაკი სხვა წყარო არსაიდან იყო, უფროს ამხანაგებს გადაეწყვიტათ, ერთი მდიდარი ირანელი ვაჭრისაგან წაგვეღო იმ ფულის ნაწილი, რისთვისაც ასეთი გეგმა შეედგინათ: მე დიდ სკივრში უნდა ჩავესვით შალვასა და ტუხას, შიგნიდან გასაღებით უნდა დამეკეტნა სკივრი და მერე ჩემიანად იმ ირანელი ვაჭრის მაღაზიაში მიებარებინათ. როცა მაღაზიას დაკეტავდნენ და ღამით ყველაფერი მიწყნარდებოდა, სკივრიდან უნდა ამოვსულიყავი, წინდაწინვე მომარაგებული მორგებული გასაღებით სალარო გამეღო, შიგ რაც ნავაჭრი ფული იქნებოდა, ყველა

ჩემს სკივრში ჩამეყარა, მეც შიგ ჩავმჯდარიყავი და თავსახურავი შიგნიდან დამეკეტნა.

დილით, მაღაზიის გაღების დროს შალვა და ტუხა უნდა მოსულიყვნენ, ვაჭრისათვის ზრდილობიანი მადლობა გადაეხადნათ სკივრის შენახვისათვის და სანამ სალაროს დაცარიელებას შეატყობდნენ, ეტლით ჩვენ უკვე შორს უნდა ვყოფილიყავით.

პირველად ამ გეგმას რომ გავეცანით, ძალიან მომეწონა და სახალისო შესასრულებლადაც მომეჩვენა, მაგრამ ტუხამ და შალვამ არ გაიზიარეს ჩემი აზრი.

— ჰო, ამ საქმის შესრულება სიტყვით მართლაც რომ ადვილია, მაგრამ საქმით კი რა მოგახსენო! თუმცა შენ თვითონ ნახავ და მერე ვილაპარაკოთ, როგორი ადვილიც არის! — მეუბნებოდა ტუხა და მკლავში ხელმოკიდებული მომყვებოდა ირანელი ვაჭრის მაღაზიისაკენ, რომლის დასათვალიერებლადაც მივდიოდით სამივენი.

მალე ირანელის მაღაზიას მივადექით და კამათი შევწყვიტეთ, რადგან იქ უკვე ამის დრო აღარ იყო.

— აი, გაიოზ! სალაროს ხომ ხედავ! მაგას გარეთ მდგომი დარაჯი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაინახავს, — მითხრა შალვამ, უკვე მყიდველებით სავსე მაღაზიაში, სადაც თითქოს ურმებით დაუყრიათ სამხრეთიდან მოტანილი ხმელი ხილი და ტკბილეულია, ისევ ეყარა ხორა-ხორა ყაფაზებზე, — შენ თავისუფლად შეგიძლია იმოქმედო, — განაგრძო ჩემი დარიგება შალვამ,— იცოდე! ვერცხლისა და სპილენძის ფულს ნუ გამოუდგები. მხოლოდ ოქრო და ქაღალდი უნდა ჩააწყო პარკებში, ჩახტე სკივრში და ჩაიკეტო კარები. მართალია, როგორც გითხარით, ადვილი არ იქნება შენთვის ეს ყველაფერი, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა იფიქრო, რომ შენ მარტო ხარ, არ უნდა შეგეშინდეს. ჩვენ მთელ ღამეს შენს გარშემო ვიტრიალებთ. თუ დარაჯმა, ან სხვა ვინმემ შეგვამჩნია, იმას ისე მოგაშორებთ, რომ ვერც კი გიგებ. შენ გევალება იმოქმედო ისე, როგორც ჩვენ გითხარით და დანარჩენზე ნურც კი იფიქრებ. მარტო მე და ტუხა კი არ გეგონოთ აქ შენს დამცველად. ჩვენ, ასე ვთქვათ, მხოლოდ სკივრის პატრონები ვართ. მებრძოლი რაზმი კი აქ, ახლო-მახლო იქნება...

ყველაფერი დავათვალიერეთ.

ასე მარიგებდა შალვა და მეც გულს ვიმაგრებდი.

მეორე დღეს მეგობრებმა სკივრში ჩამსვეს და ზეწარი გადამაფარეს, რადგან შეიძლება სკივრი აეხადათ და ვინმეს დავენახე.

ეს ყველაფერი წინდაწინ ასე იყო შემუშავებული, ცოდვა გამქღავნებული სჯობია, მანამდე ამას ისე ვუყურებდი, თითქოს რომელიმე წიგნში ამოკითხული ამბავიაო, მაგრამ როდესაც სკივრში ჩავიკუნტე და ზევიდან სახურავი დამახურეს, შიშმა ამიტანა. ჰაერი გასაღების ჭუჭრუტანიდან საკმაოდ შემოდიოდა და თითქმის თავისუფლად ვსუნთქავდი, მაგრამ მაინც გული ამიძგერდა, როცა კურტნიანი მუშის ზურგზე დავიწყე ქანაობა.

ერიჰა, ერთიც ვნახოთ, ან ცხვირს დამაცემინოს, ან დამახველოს. ან კიდევ, რაც ყველაზე უარესია, დამეძინოს და ჩემებური ხვრინვა ამოვუშვა, ხომ უნდა დამიჭირონ-მეთქი! ვფიქრობდი ჩემთვის და გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

მაღაზიის კარზე რომ მიმიტანეს სკივრით, იქ ცოტა ხანს შემაჩერეს. როგორც მერე გავიგე, თურმე ტუხა შესულიყო მაღაზიაში მთავარ ნოქართან სათხოვნელად, აღაჯან! დას ვათხოვებ, ქორწილისათვის ნუზლი თქვენს მაღაზიაში უნდა ვიყიდო... აგერ, სამზითვო სკივრით მუშა კარებთან მიყენია. თუ შეიძლება, დილამდე შემინახეთ და დილით ადრიანად წავიღებ.

ნოქარს ნება დაერთო: დააგდეთ აგერ, საქონლის ყუთებთანო, და მეც დამასვენეს. დამასვენეს, მაგრამ ჩემი ჯოჯოხეთი და მოუსვენრობა სწორედ აქედან დაიწყო, აქამდე თურმე მართლა თამაში იყო...

• • •

წუთები საუკუნეებად მომეჩვენა. მაღაზიის დაკეტვამდე კი კიდევ ოთხი საათი იყო დარჩენილი. გასძელი თუ კარგი ბიჭი ხარ, გაიოზ-მეთქი! — ველაპარაკებოდი ჩემს თავს უსიტყვოდ.

დროს გასვლას ქალაქის სამმართველოს შენობის საათით ვატყობ. მისი ხმა თავისუფლად შემოდის ირანელი ვაჭრის მაღაზიაში და სკივრშიაც კარგად მესმის. აი, უკვე საათმა ათჯერ ჩამორეკა. ვიცი, რომ ათ საათზე მაღაზიას კეტავენ და მყიდველებისა და გამყიდველების ხორხოცი მაინც შეწყდება, თორემ ნერვები ჩემი აღარ არის. რამდენჯერაც ფეხის ხმა მომიახლოვდება, ასე მგონია, გაუგიათ ჩემი აქ ყოფნა და აი, ახლა დასწვდებიან ჩემი სკივრის სახურავს გასაღებად-მეთქი!

ფეხის ხმა მაღაზიაში უკვე კანტი-კუნტად ისმის, თანდათან იგიც სწყდება, ბოლოს სალაროსი და მაღაზიის კარების დაკეტვის ხმაც გავიგე, რის შემდეგაც სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა და შვება ვიგრძენი, რადგან ნახევარი სიძნელე უკვე უკან მოვიტოვეოღონდ, ახლა ვწევარ და ველოდები დროს გასვლას. ველოდები და ვითვლი საათის რეკვას.

გეგმის თანახმად ღამის ორ საათზე უნდა ამოვიდე სკივრიდან და საქმეს შევუდგე, მაგრამ დრო რომ აღარ გადის!—ზანტად მიიზლაზნება და მოთმინება მეკარგება.

მართლა, სკივრის ძირში ბამბა მქონდა ჩაგებული, რომ გვერდები არა მტკენოდა, მაგრამ მოკუნტული წოლით ისე დავიღალე, რომ ყვირილი მომინდა — აღარ შემიძლია, ამომიყვანეთ-მეთქი...

საათმა ორის ნახევარი რომ ჩამოჰკრა, გულში იმედი მომეცა — ნახევარი საათი კიდევ დამრჩა-მეთქი. თითქმის უკვე შეიძლებოდა ამოსვლა, მაგრამ სასტიკად ვიყავი გაფრთხილებული, გეგმა ძალიან ზუსტად დამეცვა, და ამიტომ ნახევარ საათსაც გავძელი იმ საშინელ მდგომარეობაში...

დრო რომ შესრულდა და უკვე ამოსასვლელად ვემზადებოდი, უცბად, შორეულ ქუჩებიდან სროლის ხმა შემომესმა. ყურები ვცქვიტე... ვიფიქრე — ალბათ, პოლიციამ გაიგო ჩვენი საიდუმლო და ბიჭებს სროლა აუტეხეს-მეთქი. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ სროლა ძალიან შორს იყო და ჩვენთან არაფერი კავშირი არა ჰქონდა.

როგორც იყო წვალებით გავაღე შიგნიდან სკივრის თავსახური და ფრთხილად, უხმაუროდ ავწიე. ქუჩის ფარნებიდან შემოსული მკრთალი სინათლით განათებული მაღაზია შიშით მოვათვალიერე, ხომ არავინა მყავს ჩასაფრებული-მეთქი, და ჯიბიდან რევოლვერი ამოვიღე. ხოლო როცა დავრწმუნდი, რომ არავინ მითვალთვალებდა და დილამდე აღარაფერი საფრთხე არ იყო მოსალოდნელი, მაშინ ჩემი გასაღებებითა და პარკებით ფეხაკრეფით გავწიე სალაროსაკენ. იგი სულ ადვილად გავაღე და გული ამიფანცქალდა, რადგან ადრევე მხოლოდ ამაზე ჰქონდათ დავა ჩვენს ბიჭებს: დაგვხვდება ფული სალაროში თუ არაო. შიშობდნენ, ტყუილად არ ჩაგვეტარებინა ეს მეტად სახიფათო ოპერაცია.

მაგრამ გამართლდა შალვას ვარაუდი: ერთი კვირაა, რაც ირანიდან დიდძალი საქონლის ახალი პარტია მიიღეს და სულ ადვილი შესაძლებელია, მთელი ნავაჭრი ჩაგვივარდეს ხელშიო.

მართლაც, სალარო რომ გავაღე, გამოჭედილი იყო ქაღალდის ფულის დასტებით და ერთი მოზრდილი ბროლის ლარნაკიდან ოქროებმაც შემომანათეს. რა თქმა უნდა, ქაღალდიც და ოქროც პარკებში მოვაქციე და სკივრში ჩავალაგე. რაც შეეხება დანარჩენ ხურდას, რაკი გაფრთხილებული ვიყავი, ხელიც არ მიხლია.

როცა ყველაფერი მოვათავე, ცოტაოდენი ტკბილეულობაც მოვიმარაგე სკივრში და თავსახურავი არც კი დამიხურნია, ისე ნება-ნება შევექცეოდი განთიადამდე, რაკი შევატყე, რომ აუცილებელი არ იყო მაინც და მაინც თავდახურულ სკივრში ჯდომა. თან ფიქრებმა წამიღეს. ჩემს თავსა ვკიცხავდი, რომ პირველად ჩემს სიცოცხლეში სხვის სალაროში ჩავყავი ხელი და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემი პირადი ბედნიერებისათვის არა მდომია, მაინც ვერაფრით ვერ დავიმშვიდე სინდისი.

დილის ოთხ საათზე ქუჩებში კანტი-კუნტად დაიწყო ხალხმა მოძრაობა და მეც სიფრთხილისათვის სკივრში ჩავიმალე. თან თავს ვიკავებ, რომ არ ჩამეძინოს. ჯერ ხომ კიდევ დიდხანს მომიხდება სკივრში ჯდომა. ცხრა საათამდე მაღაზიას არ გააღებენ. ამიტომ ისევ საათის ზარის რეკვას ვითვლი, მგარამ იგი გამოფხიზლებისა და გამხნევების მაგივრად, თითქოს მადუნებს და ძილის განწყობილებაზე მაყენებს თავისი გულში ჩამწვდომი ჟრიალით. გათენებისას მაინც ჩამთვლიმა ერთი ხანობა და, როცა ისევ დავძლიე ძილს და ვიგრძენი სადაც ვიყავი, შემეშინდა...

მე მომეჩვენა, ძალიან დიდი დრო გავიდა, შალვამ და ტუხამ საფრთხეს თავი აარიდეს და სკივრში ჩაკეტილი მიმატოვეს-მეთქი. მთელი ღამის უძილობითა და მღელვარებით გაწამებული ახლა იმაზე ვფიქრობდი, რა ზომები მიმეღო თავის დასაღწევად.

ადვილი საქმე ხომ არ იყო! ნახავდნენ თუ არა დაცარიელებულ სალაროს, იმ წუთში მიხვდებოდნენ, თუ ვინ გააკეთებდა ამას და ჩემს სკივრს დაეტაკებოდნენ. ახდიდნენ თავს და რა უნდა მეთქვა? ხომ ვერ ვეტყოდი „კონკას“ ველოდები-მეთქი.

მაგრამ თურმე სულ ტყუილად ვფიქრობდი ასეთ სისულელეს. აი, მაღაზიის კარებმა გაიჩხრიალა და ლაპარაკისა და ფეხის ხმა შემომესმა. არ გაუვლია ხუთ წუთს, რომ ჩემს სკივრს დასწვდნენ, ამწიეს მაღლა და მალე ისევ კურტანზე დავიწყე ქანაობა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ამბავი ერთი ბიჭის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კობერიძე

ნახ. მ. დაუშვილისა

როგორც კეთილი ზღაპარი,
როგორც ლეგენდა ფიცისა,
ქალაქში დადის ხმაურით
ამბავი ერთი ბიჭისა.
ჰყვება დიდი და პატარა,
ჯარისკაციც და მფრინავიც;
არის რადიოს გუგუნი
და გაზეთების ფრიალი.
ჰყვებიან, ყველგან ჰყვებიან,
სკოლაშიც, სკოლის გარეთაც;
ზოგი ღიმილით საუბრობს,
ზოგიც კამათობს ცხარეთა...
თეთრი თოვლივით მოედო,
მოედნებსა და შესახვევს...
ასე ხმაურობს ქალაქი, —
ერთი ამბავის შესახებ.
ეს მოხდა სწორედ იმგვარად,
როგორც მე ახლა მოვყვები.
ბიჭუნა მოდის სკოლიდან
აწითლებული ლოყებით.
მოდის, ხეივანს მოჰყვება
სიამაყით და ხალისით;
ვიცი, რომ პიონერია
და როგორ სწავლობს არ ვიცი.
ფორმა აცვია მოსწავლის,
როგორც რიგი და წესია;
თვითონ პასუხად იცინის,
სხვანი რომ გუნდებს ესვრიან.
ხელში წიგნები უჭირავს,
სითბო მოჰყვება უჩვევი.
ჯერ ბიჭი ჩამოიტოვა,
მერე პატარა ქუჩები.
გაჩერებასთან გაჩერდა,
მერე გახედა ლიანდაგს:
ყველგან თოვლია დაყრილი,
სადამდეც თვალი მიატანს.

ყველამ სიცილი დაიწყო,
ვინც გაიარა ქუჩაში:
ეზოში თოვლის პაპა ჩანს
გადაგრეხილი ულვაშით.
პირველი თოვლის სიხარულს
გაუტაცნია ყოველი...
დგას ბიჭი გაჩერებასთან
და ტროლეიბუსს მოელის.
ის ელის, ტროლეიბუსმა
დაიგვიანა რატომღაც,
ბიჭუნა თოვლში დაეცა
და თოვლზე კვალი დატოვა.
ბიჭს გაეღიმა და ზეცას
ახედა მხრების რხევითა,
ფეხი გაუსხლტა და ფული
ჩამოეფანტა ხელიდან.
ეძება, დიდხანს ეძება,
ძებნა გამოდგა ამაო.
მეტი ფული რომ არა აქვს,
წუხილი როგორ დამალოს.
წამოიმართა და მაშინ
ტროლეიბუსიც გაჩერდა;
უფულოდ როგორ წავიდეს,
არც შეიძლება დარჩენა.
დღეს უბილეთო მგზავრობა
მისთვის არ არის ადვილი,



ვინც არის მართლა მოსწავლე
და პიონერი ნამდვილი.
მე ვიცი, ამგვარ ბიჭუნას,
დიდხანს ყოყმანი არ უყვარს, —
წუთით არ დაფიქრებულა
და ისევ ქუჩას გაუყვა.
მარჯვნივ ბაღია ლამაზი,
წინ ქუჩაა და ხიდია.
მოდიან ავტობუსები
და მანქანებიც მიდიან.
ხიდთან საფულე იპოვა,
ხელში აიღო, დახედა;
ვისია როგორ გაიგოს, —
ათასი დადის აქეთა.
შიგ ფულია და საათი
და მიღებული წერილი, —
ზედ მისამართი სწერია,
აბა, ისე ხომ ვერ ივლის...
მილიციელი შემოჰხვდა, —
კეთილ იმედის ბადალი.
— თუ შეიძლება მასწავლეთ,
ოდიშის ქუჩა სად არი.
— ხელმარჯვნივ უნდა წახვიდე,
აი, იმ ქუჩის გადაღმა,

მაგრამ თუ ფეხით იარე,
ალბათ მიაგნებ ამაღამ.
ერთი კი უთხრა „გმადლობთო“
და ხიდისაკენ გაიქცა;
ეს ფული მისი არ არის
და არ მოაკლებს კაპიკსაც.
ბევრი იარა თუ ცოტა,
ოდიშის ქუჩას მიაგნო
და ცხრა ნომერში იკითხა, —

ძაღულარია იაგო...
ზარი დარეკა, მოხუცი
შემოეგება კარებთან, —
— შემოდი, შვილო, შემოდი,
როგორ ჩიდრდები გარეთა.
მიეესალმა და შევიდა,
შევიდა ქუდის სწორებით,—
თქვენი საფულე ვიპოვე
და მოსატანად მოვედი...—
და მიაწოდა საფულე.
მოხუცს თვალები აევსო:
— მე ვიცი, პიონერები,
კარგნი არიან საერთოდ...—
ისევ წამოდგა მოხუცი,
ისევ დაეყრდნო ყავარჯენს
და სახეგაბრწყინებულმა,
მადლობა უთხრა მრავალჯერ.
ბიჭუნამ თავი დახარა,
წყნარად გაისმა მისი ხმა, —
— უნდა წავიდე, მშვიდობით...
— მითხარი მაინც, ვისი ხარ...
გვარი უთხრა და სირბილით
კიდეც გავიდა ეზოდან...
მიდიოდა და მოხუცის
ლოცვა-კურთხევა ესმოდა.
მოხუცთან მეორე დილით,
მთელი უბანი მოვიდა:
ზოგმა იკითხა პირდაპირ,
ზოგმაც დაიწყო შორიდან.
გახამებული ხალათით, —
ღუმელთან დადგა ხარატი.
ძლივს გაიხადა ფარაჯა,
დასველებულმა დარაჯმა.
უბოდიშოდ და უსალმოდ,
შოფერს შემოჰყვა ხარაზი;
ინჟინერს მოჰყვა გოგონა
და არ გაჩუმდა არასგზით:
— მართლა მაშინვე წავიდა?..
— სულ დაკარგულა უკვალოდ...
— ეს რად გგონია ზღაპარი,
რას გეცინება დურგალო...
მივიდა მასწავლებელიც
და საქმე დიდხანს არკვია:
სადაურია, სად სწავლობს,
რა გვარია და რა ჰქვია?..
მოხუცები ხომ საერთოდ
გულმავიწყები არიან.
გვარი რომ ვერ გაიხსენა,
მერე დაღონდა ძალიან.
ჯერა თქვა, — ბარამიძეა,
შემდეგ თქვა, ალავიძეო...
აქ კალატოზმაც გაბედა: —
— მოდი და გაზეთს მივწეროთ...
გვიან დაიწყო სტუდენტმა, —
— სიმართლეს გეტყვი, ბიძია:
ის სწავლობს მეცხრე სკოლაში,
ნამდვილად არაბიძეა...
— შენ, მეზობელო, რას იტყვი, —
ექიმმა უთხრა ექიმსა, —
აი, ეგ ბიჭი ყოფილა
გამხარებელი დედისა...
— ეგ მართალია, — ექიმსაც
დაუდასტურეს უბრალოდ...
ეზო საუბრობს ეზოსთან,
შენ ვერ გაიგე, უბანო...
ქუჩა გასძახის მოედანს
და მოედანი — შესახვევს...
ასე ხმაურობს ქალაქი,
ერთი ამბავის შესახებ.

რატომ ვამბობთ ასე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრგვალი მაგიდა

გადატანითი მნიშვნელობით, დიპლომატიურ ენაზე თანასწორუფლებიანობას ნიშნავს. მრგვალი მაგიდის სიმბოლური მნიშვნელობა ისაა, რომ მას არ გააჩნია თავი, ბოლო, კიდე, ე. ი. ერთიმეორისაგან განსხვავებული ნაწილები და, ამგვარად, მის ირგვლივ მსხდომთ ტოლუფლებიანი ადგილი უკავიათ.

ამ გამოთქმას ბრიტების ბელადის— მეფე არტურის სახელს უკავშირებენ. საშუალო საუკუნეების რაინდული რომანების ზღაპრულმა გმირმა, მეფე არტურმა, თავის რაინდებთან სანადიმოდ მრგვალი მაგიდა გააკეთა იმ მოსაზრებით, რომ მაგიდის ირგვლივ არ ყოფილიყო განსხვავებული ნაწილი, რამდენადაც მისი რაინდები თანასწორნი უნდა ყოფილიყვნენ ვაუკაცობითა და საგმირო საქმეებით.

კოლუმბის კვერცხი

ამ გამოთქმას ცნობილ მოგზაურს — ქრისტეფორე კოლუმბს უკავშირებენ; თუმცა იმასაც ამბობენ, რომ სიბრტყეზე კვერცხის დაყენების ამოცანა, ჯერ კიდევ კოლუმბამდე 75 წლით ადრე, ფლორენციის ტაძრის გუმბათის პროექტის შემდგენელმა, ფილიპო ბრუნელესკომ გადაჭრა. ტაძრის საკითხის გამო 1421 წელს ფლორენციაში მოწვეულ არქიტექტორთა თათბირზე ბრუნელესკომ მაგიდაზე დარტყმით ჩაჭყლიტა კვერცხის ძირი, დააყენა იგი სიმაღლეზე და თქვა: ჩემი გუმბათიც ისე საიმედოდ იდგომება, როგორც ეს კვერცხიო.

გაკვეთილის თანახმად, კოლუმბმა სიბრტყეზე კვერცხის ვერტიკალურად დაყენების ამოცანა კარდინალ მენდოზის მიერ მოწვეულ ნადიმზე გადაჭრა. აღსანიშნავია, რომ ძირჩატეხილი კვერცხი უკვე სულ სხვა ფორმის სხეულია და მისი ვერტიკალურად დაყენება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

გამოთქმა იხმარება თავსატეხ საკითხის იოლად გადაწყვეტის და, საერთოდ, საზრიანობის გამოჩენის მნიშვნელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიც კორბერი

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

მისტერ შმიდტის ჰოულობს ძალზე

(წიგნიდან „იოანი და სიკო“)

შუადღე იქნებოდა, როცა ქარავანმა დანიშნულ ადგილს მიაღწია. ეზოში ცხენებს საპალნე მოხსნეს. იგი კოჭების, ფიცრებისა და ცხოველების საჭმელისათვის განკუთვნილი ცარიელი გობებისაგან შედგებოდა.

თავდაპირველად ზანგებს მისტერ შმიდტის საველე საწოლი უნდა გაეშალათ და გარშემო ბადე დაეჭიმათ. შემდეგ სინიორ პერექვეტცმა ოთახი და ვერანდაზე გასასვლელი სავაჭროდ მოაწყო. ახლა კი ვაჭარს შეეძლო თავისი საქონელი გამოეფინა, რათა მისტერ შმიდტისაგან ცხოველებში აღებული ფული იქვე ამოეძალა ინდოელებისათვის. მან იცოდა, რა გამოდგებოდა მათთან გასასყიდად: ცულები და იარაღი, ჩანთა და თეთრეული, თავსაფრები და ფერადი ლენტები.

სინიორ პერექვეტცს ერთ კუთხეში ჰამაკი გაეჭიმა. იოანის დედა სოფლის სხვა ახალგაზრდა ქალებთან ერთად ამ წელსაც თეთრ ბატონებს ემსახურებოდა. მათ ბავშვები მეზობლებისათვის დაეტოვებინათ, რადგან თეთრი ბატონები ნებას არ აძლევდნენ თავისთან ჰყოლოდათ.

მისტერ შმიდტმა ზანგებს გასძახა, მოზიდული ფიცრებისა და ჩარჩოებისაგან გალიები გაეკეთებინათ. მო-

ვიდნენ პირველი გამყიდველები და თან ათასგვარი ფრინველები და ცხოველები მოიყვანეს.

სახლის ჩრდილში მოკალათებული ყავისფერი მამაკაცები და ქალები მოთმინებით ელოდნენ, როდის დაამთავრებდა თეთრი ბატონი ზანგების ლანძღვა-გინებას. ზანგები სადურგლო საქმეს ჩინებულად ფლობდნენ, მაგრამ მისტერ შმიდტს მაინც ეჩვენებოდა, რომ ისინი კარგად და სწრაფად ვერ მუშაობდნენ.

იოანი და მაია ვერანდის კიბის საფეხურზე ჩამომსხდარიყვნენ. გოგონას ხელში წკეპლა ეჭირა. ზედ თორმეტი პაწაწინა თუთიყუში იჯდა. წვრილი ლიანით შეკრული ფეხები გაფრენას უშლიდა პატარა ტყვეებს.

თუთიყუშების ჟივილ-ხივილი თეთრი ბატონის ღრიალს დაეფარა. მაგრამ უნდა გენახათ, როცა მისტერ შმიდტი გაჩუმდა, თითქოს მას შეუტიესო, პორტუგალურ და ინგლისურ ენაზე ლანძღვას მოჰყვნენ: „ჯოჯოხეთში წასულხართ, ბებერო მატყუარა!“ და „ისეთ წიხლს გითავაზებ, რომ“, როგორც თვითონ მისტერ შმიდტი ყვიროდა.

მაიმუნი სიკო თავის საყვარელ ადგილზე, იოანის მუხლებზე შემოსკუპულიყო და მიწაზე მარილის ნამცეცებს ეძებდა. იპოვიდა თუ არა, კბილებით კრაწაკრუწს ატეხავდა და თან თვალებს მინაბავდა, ისე, როგორც ბავშვები აკეთებენ ხოლმე, როცა რამე გემრიელს შეექცევიან.

მისტერ შმიდტი ცხოველების შესყიდვას შეუდგა. ინდოელები, ფულს აიღებდნენ თუ არა, სინიორ პერეკვეტცის სავაჭრო ოთახისაკენ მიემართებოდნენ საქონლის შესაძენად.

ბოლოს ბავშვების რიგიც მოვიდა. თეთრი ბატონის საქონელი გაცილებით მეტი ღირდა, ვიდრე მათ თუთიყუშებში აიღეს. მაიმუნს, დათვს ან ქამელეონს მისტერ შმიდტი უფრო მეტს აფასებდა, მაგრამ დიდი მშიშარა ცხოველები საჩუქრადაც არ უნდოდა, რადგან ისინი გემით მგზავრობას ვერ იტანდნენ და ატლანტიკის მკაცრ ჰავაზე იხოცებოდნენ.

როცა მისტერ შმიდტმა მაგიდისაკენ გაუბედავად მომავალი იოანი დაინახა, გამხიარულდა. ბიჭის ფართოდგახელილ თვალებში საოცარი სევდა ჩამდგარიყო. მაიმუნი მაგრად მოხვეოდა იოანს ყელზე, თითქოს გრძნობდა, რომ ამ უცხო კაცს მისი მეგობართან განშორება სურდა.

„ჰა, მოიტა რალა! რა მოგცე ამაში?“

„არ ვიცი, ბატონო, რამდენი შეიძლება მომცეთ“?— შეეკითხა იოანი.

მისტერ შმიდტმა ქისა აიღო, იქიდან ვერცხლის ფული ამოიღო და მაგიდაზე დადო. ფულის ბრწყინვალებამ თვალი მოსჭრა იოანს, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. მისტერ შმიდტმა მეორე ვერცხლის ფული მიუდვა გვერდით. ახლა კი ჩამოსვა კისრიდან იოანმა სიკო და თოკი თეთრ ბატონს მისცა ხელში. მერე სწრაფად დასტაცა ხელი ფულს და ჯიბისაკენ გააქანა.

მისტერ შმიდტმა იცოდა, როგორ მოქცეოდა მაიმუნს. ერთი მუჭა თხილი თათში ჩაუყარა სიკოს. თხილი თათში ვერ დაეტია და დაიფანტა. სიკომ ლოყები გაბერა. დაფანტული თხილი აკრიფა და კუთხეში ჩაცუცქდა. მისტერ შმიდტი ფრთხილად მივიდა, მაიმუნი იქვე მოთავსებულ გალიაში ჩასვა და მაგიდასთან დაბრუნდა.

იოანმა სინანულით გადახედა თავის მეგობარს. იფიქრა: ფულს დავაგდებ, გალიას ხელს დავტაცებ და გავიქცევიო, მაგრამ შრომით წელში მოხრილი დედა გაახსენდა, მერე წარმოიდგინა რამდენ რამეს უყიდდა ეს ფული თავის პატარა და-ძმებს.

— მეც თქვენთან დავრჩები, სერ, ოღონდ სიკოსთან მამყოფეთ და, რასაც მეტყვით, გაგიკეთებთ, — შეევედრა იგი მისტერ შმიდტს.

თეთრმა ბატონმა აათვალიერა ბიჭი.

— კეთილი. ცხოველების გამოკვებას მოგანდობ. მე მსახური მჭირდება, შენ კი მუშაობისათვის არც ისეთი პატარა ხარ. შეგიძლია შეუდგე. ბოსელში დაიძინებ ხოლმე. იქ შენთვისაც გამოიძებნება ადგილი.

მაია გარეთ ელოდებოდა იოანს. ბავშვებმა ფული სინდისიერად გაიყვეს. შემდეგ იოანის დედამ მოირბინა. სიხარულით გაუბრწყინდა დღენიადაგ ნაღვლიანი თვალები ქალს, როცა იოანმა ხელში დიდი ვერცხლის ფული ჩაუდო. გახარებულმა გულში ჩაიკრა იოანი. ალერსს შეუჩვეველი ბიჭი ხელიდან გაუსხლტა დედას. პატარა ხომ არ არის — რას იფიქრებს მაია?

ლიანებისაგან დაწნული ქისა ფეხებზე სცემდა იოანს, როცა ბავშვები სოფლისაკენ გარბოდნენ. დამოუკიდებლად ნაშოვნ პირველ ფულს წკრიალი გაჰქონდა.

გერმანულიდან თარგმნა

ი. ლეფავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირე

როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, ცნობილი მონადირე ნიკო აფციაურიც სხვებთან ერთად საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ნიკოს ისეთი დალოცვილი მარჯვენა ქონდა — მისი ნასროლი ტყვია ყოველთვის აუცდენლად ხვდებოდა მიზანს. ნიკომ თავის ნაწილშიც პირველი ადგილი დაიმკვიდრა. როცა ის შენაერთი, რომელშიაც ნიკო იმყოფებოდა, ფრონტზე წავიდა, უკვე სახელმოხვეჭილი ნიკო სნაიპერთა ასეულში ჩარიცხეს.

სევასტოპოლის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში, ქალაქია დასაცავად ერთ-ერთი მაღლობის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაღლობი საგულდაგულოდ იქნა გამაგრებული. უთენია გერმანელთა შემოტევა დაიწყო. აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, მაგრამ დახეთ უბედურებას! გერმანელთა კარგად შენიღბული სნაიპერი უშეცდომოდ ისროდა და მეტყვიამფრქვევეები მწყობრიდან გამოჰყავდა. ვერ იქნა და ვერ აღმოაჩინეს გერმანელი სნაიპერი. ფრონტის სარდლობამ გადაწყვიტა სახელმოხვეჭილი „ნიკალაი" გამოეწერათ. ასეც მოიქცნენ. ჩამოსვლისთანავე ნიკო მაღლობისაკენ გაეშურა. მაღლობს გარშემო ფოთლოვანი, დაბურული ტყე ეკრა. სნაიპერი, ალბათ, რომელიმე ხეზე იყო მოკალათებული, მაგრამ რომელ ხეზე? თავსატეხი ეს იყო. ნიკო ტყეს ისე მისჩერებოდა თითქოს მისთვის დანარჩენი ქვეყანა არ არსებობსო.

დაიწყო თუ არა გერმანელთა შემოტევა, ჩვენი ტყვიამფრქვევებიც აკაკანდნენ. ეტყობა გერმანელთა სნაიპერიც ამას ელოდებოდა. ისროლა თუ არა, ჩვენი ერთი მეტყვიამფრქვევე მწყობრიდან გამოიყვანა. მაგრამ გერმანელმა სნაიპერმა ამ გასროლით თავისი ადგილსამყოფელი გასცა. ახლა ნიკოსათვის მისი მოსპობა ძნელი საქმე აღარ იყო. ასეც მოხდა.

ვინ მოთვლის რამდენი ასეთი შემთხვევა ჰქონდა ფრონტზე ნიკოს. — საბჭოთა მთავრობამ სამშობლოს წინაშე ნიკოს დამსახურება ოქროს ვარსკვლავით აღნიშნა.

შეწყდა თუ არა სამამულო ომის ქვემეხთა გრიალი, ომგადახდილი და მკერდდამშვენებული ნიკო მშობლიურ ფასანაურს დაუბრუნდა და ჩვეულებრივად კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ერთ დღეს გაცივდა, სამუშაოდ წასვლა ვერ შეძლო და შინ დარჩა. თავისი მამაპაპეული სახლის აივანზე იჯდა და მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს პაპანება იდგა, ზურგს მაინც მზეს უფიცხებდა. მისი ბიჭებიც იქვე მდინარის ნაპირას იყვნენ და ტოლებში ერთობოდნენ. როცა მზე შუბისტარზე დადგა, ბავშვებმა ბანაობა მოინდომეს და მორევში გადაეშვნენ. პატარებმა წყალში გადახტომამდე ვერ შენიშნეს როგორ ყელყელაობდა მორევში უზარმაზარი ყვითელი გველი. როცა მო-

ბიჭი

ო. ქარაქიანი

გარეთ ხედავ, — არ აკლია
ზრდილობა და თავმდაბლობა,
სადმე გზაზე თუ შემოგხვდა,
ვერ დაასწრებ გამარჯობას.

აქ არ გეტყვით იმის სახელს,
ის არ მოგვცემს ამის ნებას,
რომ შეაქოთ პირში, ხელად
შერცხვება და გაწითლდება.

ჰა, მოხუცი მოდის ქალი,
ძლივსა ზიდავს სავსე კალათს,
„გიშველიო", მოწიწებით
ჩვენი ბიჭი ეტყვის წყნარად.

ავტობუსში თავის ადგილს
ბიჭი მყისვე უთმობს დიდებს,
იცის, რა დროს ავიდეს და
იცის, რა დროს ჩამოვიდეს.

თუ მეგობარს ესტუმრება,
უყვარს სიტყვა ტკბილზე ტკბილი,
განუმარტავს, ამოუხსნის
თუ არ იცის გაკვეთილი.

მაგრამ შეხეთ, ო, ეს ბიჭი,
თითქოს ყველას მაგალითი,
აბა, ნახეთ, როგორია
ის, როდესაც სახლში მიდის.

ბანავე ბიჭებმა გველი შენიშნეს, ყურისწამღები წივილ-კივილი ატეხეს. აივანზე მყოფმა ნიკომ, რომლის სახლიც ზედ არაგვის პირზე იდგა, იქით გაიხედა და ყველაფერი საკუთარი თვალით დაინახა.

იგი ჯერ გაოგნდა, მაგრამ, ათას განსაცდელს გამოვ-ლილი, გონს მაინც მალე მოეგო. სახლიდან თოფი გამო-არბენინა, აჩქარებულმა თითქმის დაუმიზნებლად ესროლა და თვალები დახუჭა.

როცა გასროლის შემდეგ ბავშვების ხმიერული ყი-ვილ-ხივილი გაიგონა, თვალები გაახილა და სიხარულით ატირდა.

თევზობა

ზაფხული მოახლოვდა და დაგვითხოვეს. ჩემ თანაკ-ლასელთაგან ზოგი სანატორიუმში წავიდა დასასვენებ-ლად, ზოგიც დასასვენებელ სახლებში გაემგზავრა. მე, დედა და ჩემი ხუთი წლის ძმა სოფელში ბებიასთან წა-ვედით.

ჩვენს სოფელს ძალიან ლამაზი მდებარეობა აქვს. რაც

მთავარია, მას საკმაოდ დიდი მდინარე ჩამოუდის. იგი სარწყავადაა გამოყენებული, მაგრამ მდინარეში თევზიც უხვად მოიპოვება. ჩვენი სოფლის ბიჭები უჩუმრად არხს გაწყვეტენ ხოლმე და მაშინ უნდა ნახოთ უწყლოდ დარ-ჩენილი თევზების სხმარტალი არხის ნაკვალევში.

მაგრამ არხი კოლმეურნეობის ბაღების სარწყავადაა გამოყენებული და მისი დაწყვეტა არ შეიძლება. გარდა ამისა, მე არხის გაწყვეტა არც შემიძლია, რადგან ჯერ თერთმეტი წელიც არ შემსრულებია. თევზის დაჭერა კი მინდა. ამიტომ მამას წერილი გავუგზავნე და ვთხოვე, ჩემთვის ანკესები ეშოვნა. იგი ყოველ შაბათ-საღამოს ჩამოვიდოდა ჩვენთან. მამამ ათი ანკესი გამომიტანა. კვი-რა დილით თვითონაც დამეხმარა და ათივე ანკესს ჯოხები გავუკეთეთ.

აბა, სახლში რაღა გამაჩერებდა, სასწრაფოდ ბოსლისა-კენ გავემართე, იქ ნაკელი გადავთხარე, ჭიაყელები მოვ-ძებნე, ანკესზე წამოვაგე და მდინარისაკენ მოვკურცხლე.

მდინარის ნაპირას პატარა მორევის თავზე ერთი ხე დგას. იმის ჩრდილში მოვკალათდი, ანკესებს გრძელი სი-პი ქვები დავუბი და ერთი მეორეს მიყოლებით მდინა-რეში ჩავუშვი. ათი ანკესიდან ზოგი ხის ჩრდილში და-ვაგე და ზოგიც მზეზე მოხვდა. იმ ანკესებზე, რომლებიც ჩრდილში მქონდა დაგებული, თევზები წარამარა ეგე-ბოდნენ, ხოლო მზეში დაგებულ არც ერთ ანკესს თევზი არ დაუჭერია.

დიდხანს ვფიქრობდი, რა უნდა ყოფილიყო ამისი მი-ზეზი, მაგრამ ვერასგზით ვერ მივხვდი.

შინ რომ დავბრუნდი, მამას ვკითხე და ამიხსნა: თურ-მე, მზეში თევზებიც ხედავენ მათთვის დაგებულ მახეს და თავს არიდებენ.

ელ. მესხი

ნახ. **რ. თორდიასი**

ბარეთ

სულ არ იწმენდს კართან ფეხებს,
არც ადგილზე დადებს ჩანთას,
ჭუდი თითქოს მოიხადა,
სად მიაგდო უკვე არ ჩანს.

პაწაწინა დაიკონას
უმიზეზოდ წაჰკრა თავში,
გამოჰგლიჯა დედოფალა,
და ისროლა გარეთ ბაღში.

გამიცხელე სადილიო,
გადასძახის ურცხვად ბებოს,
თვითონ ტახტზე წამოწვება,
ჩვენი გმირი „სანაქებო“.

თარგმნა **ვახტანგ გორგანელმა**

მაგრამ როცა ბებო ეტყვის,
ამიგეო ძაფი ნემსში,
ორივე ყურს მოიყრუებს,
თითქოს თხოვნა არც კი ესმის.

უყურებთ და გახსენდებათ
როგორია იგი გარეთ,
სახლში რაღა ემართება,
დიდ-პატარას რად ამწარებს?!

განა მარტო გარეთ კმარა,
აქვე უნდა ითქვას ბარემ:
ზრდილობა და თავმდაბლობა
საჭიროა შინ და გარეთ.



ტექნიკის სამყაროში

კოშკი — გარაჟი

იტალიის ქალაქ მილანში ააგეს ლითონის კოშკი ავტომანქანების დასაყენებლად. მანქანების ატანა და ჩამოშვება ლიფტით ხდება.



„ფოლადის“ ნათურა

სურათზე თქვენ ხედავთ საოცარ ელნათურას, რომელიც შვედეთშია დამზადებული. ეს ელნათურა ჩაქუჩის დარტყმას უძლებს და მაშინაც კი არ დაიმსხვრევა, ზედ რომ სატვირთო მანქანამ გადაუაროს.



რესპუბლიკაში უდიდესი

სამხრეთ ჩეხეთში, ქალაქ კადანის მახლობლად, შენდება რესპუბლიკაში უდიდესი თბოელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 660 ათასი კილოვატსაათი იქნება. ამ სადგურის 198-მეტრიანი მილი სიმაღლით ევროპაში პირველ ადგილს დაიჭერს, მსოფლიოში კი მეორეს. ზემოთ მისი დიამეტრი იქნება 8 მეტრი, საძირკველის დიამეტრი — თითქმის 40 მეტრი.

საძირკველი რომ არ დაზიანდეს

იმისათვის, რომ შენობის საძირკველი არ დააზიანოს წვიმის წყალმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეკომენდებულია საწვიმარ მილს ბოლოში მიემაგროს რეზინის შლანგი, რომელიც დაგრაგნილი სახით ინახება მილის ბოლოსთან. როგორც კი დაუშვებს წვიმა, შლანგი გაიშლება და სახურავიდან ჩამონადენი წყალი საძირკვლიდან შორს გადაიღვრება.



ტრაქტორი — ლილიპუტი

ეს ტრაქტორი ინგლისში დაამზადეს. იგი სულ 137 კილოგრამს იწონის და ორ კაცს შეუძლია მისი ადგილიდან ადგილზე გადატანა. ტრაქტორი — ლილიპუტი შეიძლება გამოყენებული იქნეს ტვირთის გადასაზიდად, სახნავად და სხვა წვრილმან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის.

პირუტყვის საწმენდი ხელსაწყო

ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ ქარხანაში შექმნეს პირუტყვის საწმენდი ხელსაწყო. იგი მტვერსასრუტის პრინციპითაა აგებული. აქვს შემსრუტავი მოწყობილობა და რეზინის ორი მილი, რომლებიც ჯაგრისზეა მიმაგრებული.

ფოტოკამერა — ბეჭედი

ჰამბურგელმა ინჟინერმა დიტრიხ კურამ შექმნა ორიგინალური ფოტოკამერა, რომელიც შეიძლება თითზე გავიკეთოთ თვლიანი ბეჭედივით.



ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უმცირესი ზომის ფოტოკამერაა. იგი იტენება 35-მილიმეტრიანი კინოფირისაგან გამოჭრილი 4 მრგვალი ნეგატივით. მიღებული გამოსახულების გადიდება შეიძლება 18-ჯერ.

ავტომობილის გასალები

ავტომძღოლებს ბევრჯერ ანერვიულებს ხოლმე ავტომობილის გასაღები, რომელიც ხან მანქანაში ეკარგებათ, ხან სახლში რჩებათ. ამ უსიამოვნების თავიდან აცილება შეიძლება, თუ გასაღების სახით გაკეთდება ჩვეულებრივი ქამრის ბალთის ენა.



რადიოსათვალე

ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაყიდად გამოჩნდა მიკროსკოპული რადიომიმღებები, რომლებიც მზის საწინააღმდეგო სათვალეების ჩარჩოშია მოთავსებული. კვების წყაროდ გამოყენებულია მინიატურული მზის ბატარეა. სათვალის რკალები ყურსაცვამის როლს ასრულებენ.

თვითმფრინავი ხანძარს აქრობს

კანადის ერთ-ერთი საავიაციო კომპანია ტყის ხანძრის ჩასაქრობად სპეციალურ თვითმფრინავებს იყენებს. ტყის სამეთვალყურეო საგუშაგოებიდან საგანგაშო ნიშნის მიღებისთანავე თვითმფრინავი აფრინდება ხოლმე ბაზიდან და აჩქარებით იღებს წყალს აღმოსავლეთ კანადის მიდამოებში, სადაც წყლის დიდი სიუხვეა.

საკუმბავი მოწყობილობა საშუალებას იძლევა ტრიუმები ერთი წუთის განმავლობაში 28 ათასი ლიტრი წყლით აივსოს. ამ მცირე ხნის შემდეგ თვითმფრინავი ჰაერში ადის და ხანძრის ადგილისაკენ მიეშურება.

თვითმფრინავ-ტუმბოს ერთ საათში შეუძლია 120 ათასი ლიტრი წყალი დაასხას ახანძრებულ ტყეს, ესე იგი 0,4 ჰექტარი ზედაპირი 8 მილიმეტრი სისქის წყლის ფენით დაფაროს.

მოლაპარაკე თოჯინები

იაპონიის სათამაშოთა მაღაზიებში იყიდება თოჯინები, რომლებიც არა თუ მარტო „დედას“ ან „მამას“ წამოთქვამენ, არამედ თვით ზღაპრებსაც კი ჰყვებიან. ამის საიდუმლოება იმაშია, რომ თოჯინებში მოთავსებულია პატარა მაგნიტოფონები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ურალში, ნიჟნი ტაგილში არის პატარა მუზეუმი. მის ერთ-ერთ ვიტრინაში რაღაც უცნაური მანქანა დგას. ერთი შეხედვით იგი საბავშვო ორთვალას მოგვაგონებს, მაგრამ ესაა, რომ წინა თვალი უზომოდ დიდი აქვს, უკანა კი მეტად პატარა. წინა თვალს ზედ საჭე ადგას, უკანაზე კი საჯდომია გაკეთებული.

მანქანა მთლიანად რკინისაგანაა დამზადებული. ერთი თვალის შევლებითაც კი ეტყობა, რომ იგი ბავშვებისათვის არაა განკუთვნილი — ეს მანქანა მსოფლიოში პირველი ველოსიპედია. იგი 1800 წელს ააგო ნიჭიერმა გამომგონებელმა არტამონოვმა, ურალის ერთ-ერთი მემამულის ყმამ. არტამონოვმა არა მარტო გამოიგონა და გააკეთა ეს საინტერესო მანქანა, არამედ პირველი გამოცდაც თვითონვე მოუწყო მას. 2500-ზე მეტი კილომეტრი გაიარა გამომგონებელმა მაშინდელი რუსეთის დანგრეული გზებით და ნიჟნი ტაგილიდან მოსკოვში ჩავიდა და ათასობით მოსკოველის გაოცება და აღფრთოვანება გამოიწვია.

არტამონოვმა თავისი ველოსიპედი ალექსანდრე პირველს აჩვენა. მეფეს მოეწონა იგი და ნიჭიერი გამომგონებელი ყმობიდან გაათავისუფლა. ამის შემდეგ არტამონოვი კვლავ დაჯდა თავის მანქანაზე და ისევ ურალში დაბრუნდა. სახლში მან კვლავ მოკიდა ხელი თავის შეწყვეტილ საქმეს და ველოსიპედის შემდგომი გაუმჯობესება მოინდომა, მაგრამ მისი ცდები იმხანად არავის აინტერესებდა, ფინანსური დახმარება არავინ გაუწია და ბოლოს იგი სიღარიბეში გარდაიცვალა. მსოფლიოში პირველმა ველოსიპედმა კი თავისი ადგილი მუზეუმში ჰპოვა.

რამდენიმე წლის შემდეგ ველოსიპედი უკვე ევროპაშიც გამოჩნდა.

1808 წელს პარიზის ქუჩებში რაღაც საოცარი მოყვანილობის ხის საგორავი დაინახეს. ორი ბორბალი — წინ და უკან ხის ღერძით იყო შეერთებული, ღერძზე კაცი იყო გადამჯდარი, ხან ერთ, ხან მეორე ფეხს მიწას ჰკრავდა და ისე მიიწევდა წინ. მოსახვევზე მანქანას გააჩერებდა, ძირს ჩამოხტებოდა და საჭირო მიმართულებით ხელით აბრუნებდა.

ამ ხის საგორავებით, — ასე უწოდებდნენ იმხანად მას, — სიამოვნებით სეირნობდნენ პარიზის ქუჩებში.

ასეთი საგორავი მანქანები მალე გერმანიაშიც გამოჩნდა. გერმანელმა კონსტრუქტორმა დრაისმა გააუმჯობესა მისი კონსტრუქცია, წინა თვალს თავისუფალი ბრუნვის საშუალება მისცა და მას საჭე გაუკეთა, ამის შემდეგ მანქანის მობრუნება უკვე ძირს ჩამოუსვლელად შეიძლებოდა. მალე საფრანგეთში ვინმე მი-

საჭე და როდის გამოიგონეს ველოსიპედი?

მიშომ შესამჩნევად გაზარდა წინა თვალი და ზედ ფეხით საბრუნებელი პედალები გაუკეთა. სახელად — ველოსიპედი დაარქვა. იგი ორი ლათინური სიტყვისაგან შედგება: „ველოს“ — ჩქარი, „პედოს“ — ფეხები.

მაგრამ ველოსიპედით მგზავრობა მაინც დიდი წვალება იყო, იგი საჭეს კარგად არ ემორჩილებოდა, თავდალმართში შეჩერება იყო ძნელი, აღმართში კი— ჯყვანა.

საჭირო იყო რაღაცის მოგონება.

წლითი-წლობით სხვადასხვა ქვეყანაში გამომგონებლები თავს იმტვრევდნენ, როგორ გაეუმჯობესებინათ ეს მძიმე და მოუხერხებელი მანქანა, და ყოველ მათგანს შექონდა რაიმე ახალი ცვლილება.

ველოსიპედს იმხანად ჯერ კიდევ ხისაგან აკეთებდნენ; შემდეგ მისი ნაწილების დამზადება ფოლადის მილებისაგან დაიწყეს, რამაც იგი შესამჩნევად მსუბუქი და მტკიცე გახადა.

წინა ბორბლიდან მოხსნეს პედალი, იგი უკანა თვალზე გადაიტანეს და მანქანამ ბევრად სწრაფად დაიწყო მოძრაობა. მანქანის სვლისუნარიანობა დიდად გააუმჯობესა მბრუნავ ღერძებში მოთავსებულმა საკისრებმა — ბორბლებმა სწრაფად და უხმაუროდ დაიწყეს ბრუნვა.

ასე, თანდათან, მძიმე, მოუხერხავი და უხერხული ველოსიპედი მოხერხებულ და საიმედო მანქანად გადაიქცა, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი მაინც ჰქონდა — მანქანა კარგ გზაზედაც კი (მაშინ კარგი გზები იშვიათი გამონაკლისი იყო) მაგრად ინჯღრეოდა.

სამოცი წლის წინ, ველოსიპედის თვლებს ნჯღრევის შესამცირებლად გარშემო ჯერ კიდევ რკინას აჭედებდნენ. გასაჭირიდან გამოსავალი სულ შემთხვევით იქნა გამონახული. ერთმა ინგლისელმა გვარად დანლოპმა, ერთ ბედნიერ დღეს ველოსიპედის თვლებს წყლით სავსე სარწყავი რეზინის მილი შემოაკრა. ამან თუმცა გააუმჯობესა ველოსიპედის სვლა, მაგრამ საგრძნობლად დაამძიმა იგი. მაგრამ ძირითადი საქმე უკვე გაკეთებული იყო, — წყალი სულ მალე ჰაერით შეიცვალა, აქედან კი უკვე ერთი ნაბიჯი იყო ველოსიპედის სპეციალური საბურავების შექმნამდე. გადაილახა უკანასკნელი წინააღმდეგობა, ველოსიპედმა საერთაშორისო საგზური მიიღო და დღეს ყველაზე მეტად გავრცელებულ და მასიურ ტრანსპორტად გადაიქცა.

მოსაზრებულობა ჯ სიმამაცე

მაყვალა ცარციძე

ეს მოხდა საჩხერის რაიონში, სოფელ ჯალაურთაში, 1960 წელს, მაისში. ბავშვები სოფლის ბოლოს კოლმეურნეობის ბოსელთან თამაშობდნენ. იქვე მახლობლად წყლით სავსე ჭაში ჩავარდა 5 წლის ცისანა შეყლაშვილი. ბავშვს უეჭველი დაღუპვა ელოდა, რომ მაყვალა ცარციძეს, სოფ. ჯალაურთის 7-წლიანი სკოლის II კლასის მოსწავლეს, გულადობა არ გამოეჩინა. მან უეცრად ფეხი ჭის გვერდზე ახლო მდებარე ღობეში გაუყარა და ჭაში ჩაეყუდა. როცა წყალმა ბავშვი ზევით ამოისროლა, ხელი თმებში ჩაავლო და ზევით ამოიყვანა. სანამ ახლო მცხოვრებლები მოეშველებოდნენ, თვითონვე გაუწია პირველი დახმარება. ბავშვი გადარჩა.

მეორედ, ამა წლის იანვარში, მაყვალა ცარციძემ კვლავ დიდი სიმამაცე გამოიჩინა, დასვენების დროს ბავშვები ცეცხლთან თბებოდნენ. უეცრად იქვე მდგარ ნათელა ცარციძის კაბას ზურგიდან ცეცხლი მოედო, ბავშვი ცეცხლის ალში ეხვეოდა, მაგრამ მაყვალა აქაც არ დაიბნა, მან ნათელა სასწრაფოდ ეზოში გაიყვანა და თოვლში ჩასვა.

ასეთი მამაცური მოქმედებისათვის ეს პატარა ოქტომბრელი ნამდვილად ქების ღირსია.

ჯ. მაჭარაშვილი,
საჩხერის რაიონი, სოფ. ჯალაურთის კოლმეურნეობის აგრონომი.

მათ გადაგვარჩინეს

1961 წლის 6 მაისს, დილამდე განუწყვეტლივ წვიმდა. არაგვი ადიდდა, ნაპირებს მიასკდა და ხიდი, რომლითაც სარგებლობენ სოფ. ლექოკისა და ქობულოს ხევსურები, საფრთხეში აღმოჩნდა.

დილით, როცა ცა მოიწმინდა და მზემ ამოანათა, ბავშვები ჩუმად გავიპარეთ ჭალაში ფეხბურთის სათამაშოდ. უკვე მოგვიანებით, თამაშით გართულები უკან ვბრუნდებოდით, რომ წინ მეორე კლასის მოსწავლე მიხეილ დაიაური შეგვეგება და შეგვატყობინა: „ხიდი ინგრევაო“

ჩვენ შეშინებულნი მივვარდით ხიდს და ვნახეთ, რომ მისი ძირი წყალს გაეტანა, ხიდის ერთი ბოლო ხელით შეეკავებინა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ლ. ჯანაშიას, ხოლო მეორე ბოლო დირექტორს დ. თეთრუაშვილს, და ასე ეჭირათ მათ ხიდი, სანამ ყველანი გაღმა არ გავედით. დაღუპვას გადავურჩით, რისთვისაც ჩვენს [illegible] ლებს გულითად მადლობას ვუხდით.

ვაჟა ხორნაული,
ბარისახოს სკოლა-ინტერნატის VI კლ. მოსწავლე.

არჩილ ყველას მვიუვარს

ძლიერი სიცხეები დაიჭირა. ჩვენი ეზოს ბავშვებმა ქვებისა და ტალახისაგან გაწმინდეს უყურადღებოდ მიტოვებული აუზი, რომლის სიმაღლე მეტრნახევარს აღემატება. მოუშვეს ონკანი, წყლით აავსეს იგი, გაიძვრეს ტანთ და აუზში ყირამალა გადაეშვნენ.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ პატარებს. მათ ცნობისმოყვარეობამ დასძლიათ და ერთ საღამოს, აუზს გარს შემოუსკუპდნენ. ზოგმა ფეხი ჩაყო და ჭყუმპალი დაიწყო; უეცრად დარეჯან კუბლაშვილს ფეხი დაუცდა და წყალში ჩავარდა. მან რამდენჯერმე დაყვინთა. ამხანაგებს ეგონათ, დარეჯანი ხუმრობსო, მაგრამ როცა იგი ფსკერისაკენ წავიდა, პატარებმა ყვირილი მორთეს. ხმაურზე პიონერმა არჩილ გორგაძემ მოირბინა.

ფიქრის დრო აღარ იყო. იგი აუზში გადახტა და დარეჯანი წყლის ზედაპირზე ამოიყვანა. მალე არჩილს სხვებიც წამოეშველნენ და პატარა გოგონა აუზიდან გამოიყვანეს.

მამაცმა პიონერმა არჩილ გორგაძემ დარეჯანი დახრჩობას გადაარჩინა.

ციცინო ციერეკიძე,
ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე.

ის თუ არა ეს?

...რომ ჩვენს ქვეყანაში 1961 წელს გამომუშავებული უნდა იქნეს 327 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია? ენერგიის ეს რაოდენობა საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ელექტრომავალმა „ვლ-23“ დედამიწის ორბიტა 65-ჯერ გაიაროს.

...რომ, თუ მოხდებოდა დედამიწის ქერქის უსწორმასწორობის სრული გასწორება, ჩვენს პლანეტას დაფარავდა წყლის ფენა, რომლის სიმაღლე იქნებოდა 2.400 მეტრი.

...რომ თანამედროვე დიდი ქალაქების ჰაერში ბევრი მტვერია? ერთი სათითური ლონდონის ჰაერი დაახლოებით 50 ათას მტვრის ნამცეცს შეიცავს. ხოლო რადიონათურებისა და სატელევიზიო მილაკების დამზადებისას მათში მტვრის ერთი ნამცეციც რომ მოხვდეს, წუნს იწვევს.

...რომ ავსტრალიის დათვი კოალა სრულიად არა სვამს წყალს? ორგანიზმისათვის აუცილებელ სითხეს იგი ღებულობს თავის ძირითად საკვებისაგან — ევკალიპტის ფოთლებისაგან.

...რომ სირაქლემას თვალები ორჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე მისი ტვინი?

...რომ შთაბეჭდილება, თითქოს ჟირაფს წინა ფეხები უფრო გრძელი აქვს, ვიდრე უკანანი, იქმნება იმის გამო, რომ ამ ცხოველს ძალიან მაღალი ყელი აქვს და ზურგის ხაზი დახრილია. სინამდვილეში ჟირაფის წინა და უკანა ფეხები თანაბარი სიგრძისაა.

...რომ ევროპაში ყველაზე დიდი ფრინველია გედი, ხოლო ყველაზე პატარა — ნიბლია?

...რომ როიალის სიმებისათვის საჭიროა 1500 მეტრი მავთული?

...რომ იაპონელი მოსწავლეები წერას ორივე ხელით სწავლობენ?

...რომ სკანდინავიის ქვეყნებში ტელეფონის ზარის ნაცვლად ხშირად პოპულარული მელოდიები გაისმის?

...რომ ინდაური უფრო სწრაფად გარბის, ვიდრე დოღის ცხენი?

უცნაური თევზები

ხმხსალი ნაღმი

სამხრეთის ზღვებში და მათ შორის შავ ზღვაშიც ზოგჯერ ნახულობენ თავისი აგრესიულობით ცნობილ თევზს— შიმშერს, რომელსაც მეზღვაურები „წყალქვეშა ნაღმს“ ეძახიან. წონით იგი 600-700 კილოგრამამდე იწონის. სიგრძით, ცხვირიანად, 7 მეტრამდე აღწევს, მახვილისებური ცხვირის სიგრძე მეტრნახევარს უდრის.

შიმშერი იკვებება წვრილი და უხერხემლო თევზებით, მას არ ეშინია წყლის მეფის — ვეშაპისაც კი, ხშირად უშიშრად უმართავს მას ბრძოლას. შიმშერი თავს ესხმის მეთევზეთა ნავებსა და გემებს. იყო შემთხვევა, როდესაც დაეჯახა ხომალდს და თავისი მახვილით გასჭრა მისი კედელი.

ინგლისის ბუნების ისტორიის მუზეუმში ინახება შიმშერის მიერ დაზიანებული გემის ფიცრების ნამტვრევები.

იაპონიის კუნძულ კიუსიუსის სამხრეთ ნაპირზე, როდესაც მეთევზეებს დაუჭერიათ შედარებით პატარა, დაახლოებით ორმეტრიანი შიმშერი, სანამ ნავზე ძალით ამოიყვანდნენ, თვითონ ამოვარდნილა მოულოდნელად და თავისი მახვილისებური ცხვირით ერთი მეთევზისათვის სასიკვდილო ჭრილობა მიუყენებია.



ფურთხია

ოკეანეებში, განსაკუთრებით კი ინდოეთის ოკეანეში ცხოვრობს ერთი პაწაწკინტელა თევზი, ამ თევზს სახელად „ფურთხიას“ ეძახიან. ეს სახელი საკვების უცნაურად მოპოვების გამო შეარქვეს. დილიდან საღამომდე ოკეანის ნაპირებთან დაცურავს და უთვალთვალებს ხმელეთიდან წყლის ზედაპირისაკენ გადმოხრილ მცენარეებზე ჩამომჯდარ მწერებს. როგორც კი საკბილო მცენარეზე შემოჯდება, იმწამსვე მიზანში ესვრის პირში წინასწარ მომზადებულ წყლის წვეთს. ფურთხიები წყლის წვეთის ისეთი ზუსტი მსროლელები არიან, რომ მსხვერპლს არასოდეს ააცდენენ. წყლის წვეთისაგან წყალში ჩავარდნილ მწერს ფურთხია მაშინვე გადასანსლავს, კვლავ იარაღს მოიმარჯვებს და ახალ მსხვერპლს უთვალთვალებს.

ტომარა

ფურთხიასთან ერთად ოკეანეში, მაგრამ არა მის ზედაპირზე, არამედ ოკეანის სიღრმეში, ცხოვრობს მეორე თევზი, მას „ტომარას“ ეძახიან. ეს სახელი იმისათვის შეარქვეს, რომ გაბერილი ტიკივით მუცელი აქვს. პატარაა, მაგრამ ღორმუცელაა, იგი თავის თავზე ოთხჯერ დიდ თევზებს ყლაპავს.

ჰიპნოზიორი

ინდოეთის ოკეანში ცხოვრობს ოც სანტიმეტრამდე სიგრძის თევზი. ეს თევზი არ არის დიდი, მაგრამ ზღვაში დიდ ცხოველებსაც თავზარს სცემს. მის თვალებს ისეთი ჰიპნოზისებური გამოხედვის ძალა აქვს, რომ საკბილოს ადგილზევე აშეშებს. ჰიპნოზიორი არც კი ირჯება იმისათვის, რომ მსხვერპლს ეცეს, პირიქით, გაშლის ლაყუჩებს, დაღებს პირს და წყლის მოძრაობა თვით მიაწოდებს მსხვერპლს პირში.

ჰიპნოზიორის ტანი დაფარულია მოგრძო და წვეტიანი ჭრელი ფარფლებით, რომლებშიც ზღვის ცხოველებისასათვის მომაკვდინებელი შხამი აქვს. ამიტომ დიდი ცხოველებიც ერიდებიან მის შეჭმას.

ნაღვლიანი

მეთევზეებმა ამ რამდენიმე წლის წინათ დაიჭირეს ერთი მანამდე უცნობი, უცნაურად ნაღვლიანი სახის თევზი. თევზის მცოდნე მეცნიერებმა—იხთიოლოგებმა ჯერჯერობით ეს თევზი ჯერც ერთი სახეობის თევზს ვერ მიაკუთვნეს. მისი ნაღვლიანი სახე ძალიან წააგავს სევდიანი ადამიანის სახეს.

სფერო

ინდოეთის ოკეანის ნაპირებთან, წყალბალახებში, გავრცელებულია მომრგვალებული ტანის პაწაწინა თევზი, ტანის მოყვანილობის გამო მას „სფერო თევზი“ უწოდეს.

სფეროს ხორცი ისეთი შხამიანი ნივთიერებით არის სავსე, რომ მცირე ნაჭერის შეჭმაც კი გულის დამბლას და სიკვდილს იწვევს.

სფერო თევზი მოკლებულია სწრაფად ცურვის უნარს, მაგრამ მას აქვს თავდამსხმელისაგან თავის დაღწევის უცნაური უნარი. როდესაც სფერო თევზი დინჯად მიცურავს წყალში და შენიშნავს მასზე მრავალჯერ დიდ თავდამსხმელს, რომელიც მისკენ მოეშურება, იცის რა, იგი ვერ გაასწრებს მას ცურვით, უცბად „გადაიქცევა“ მტერზე რამდენჯერმე დიდი ზომის თევზად. მტაცებელი რაკი ხედავს, მსხვერპლი მასზე დიდი გახდა, კუდამოძუებული უკან ბრუნდება. ამის შემდეგ სფერო კვლავ პატარავდება.

ყოველივე ამას სფერო თევზი იმით აღწევს, რომ მას მუცლის მიდამოებში აქვს მოთავსებული განსაკუთრებული პარკი, რომელიც კუჭ-ნაწლავის ნაწილს წარმოადგენს. საფრთხის მოახლოებისას სწრაფად სვამს წყალს, პირის ღრუს მეშვეობით ავსებს პარკს, იზრდება და აფრთხობს მტერს. თვითონ კი დიდ ღოდებს ამოფარებული და ჩასაფრებული ესხმის თავის მსხვერპლს და შეექცევა.

ანა ნემსაძე

ეფემერიდა ყველაფერზე

დაკონსერვებული ჰაერი

ავსტრალიიდან საზღვარგარეთ, სხვა საქონელთან ერთად, გააქვთ მეტად არაჩვეულებრივი საქონელიც, ეს გახლავთ ჰაერის კონსერვები. ავსტრალიაში მუშაობს დედამიწის ზურგზე ერთადერთი ქარხანა, რომლის ნედლეულსაც წარმოადგენს მთის ჰაერი. ჰაერს ასე „აკონსერვებენ“: ქარხნის საამქროებში შეაქვთ თუნუქის ბალონები, რომლებსაც იქვე ჰერმეტულად დაუცობენ თავს. ეს არის და ეს — მთელი „ტექნოლოგიური პროცესი“. ამ ქარხნის პროდუქციაზე მსოფლიოს ბევრ ქალაქშია მოთხოვნილება. ამბობენ, რომ ავსტრალიური „კონსერვები“ დამწყებ მთამსვლელებს ეხმარება, წინასწარ შეაჩვიონ ფილტვები მაღალი მთის ჰაერს, სანამ მწვერვალთა დაპყრობას დაიწყებდნენ.

ბულგული ყალბად გალობს?

უნგრელმა სპეციალისტებმა მაგნიტოფონის ლენტზე ჩაწერეს ბულბულის გალობა, შემდეგ კი მოისმინეს იგი ლენტის უფრო ნელი მოძრაობის დროს.

აღმოჩნდა, რომ ბულბული თურმე ხანდახან არღვევს ჰარმონიის კანონებს და ყალბად გალობს. ეს გასაკვირი არცაა, რამდენადაც მის „რეპერტუარში“ ორიათასამდე მელოდიაა. მაგრამ ადამიანის ყურს არ შეუძლია დაიჭიროს ყველა ეს მელოდია, რადგან ბულბული ძალიან სწრაფად გალობს — ერთ წამში თითქმის 180 სხვადასხვა ტონს გამოსცემს.

ფრთხილად, შეღებილია!

როგორ შევუნარჩუნოთ გაზონის მწვანეულობას თავისი სიხასხასე თაკარა ზაფხულში? რა თქმა უნდა, ბნირი მორწყვით. მაგრამ ეს ხამუშაო მომქანცველია და არც ყოველთვის არის ეფექტური. ფრანგულმა ფირმებმა ეს პრობლემა სხვანაირად გადაჭრეს. ისინი მყიდველს სთავაზობენ მწვანე საღებავს, რომელიც შეუვითლებულ ფოთლებს უნდა წაეხვას. საღებავი წყალშია მომზადებული და მცენარეს არავითარ ზიანს არ აყენებს.

გულმავიწყი მკითხველი

ერთმა მეტისმეტად გულმავიწყმა ამერიკელმა მკითხველმა ბიბლიოთეკას წიგნი დაუბრუნა... 33 წლის შემდეგ, მაშინ როცა, განაწესით ბიბლიოთეკას წიგნი აბონენტმა ერთ კვირაში უნდა დაუბრუნოს.

ბიბლიოთეკის მეპატრონემ უარი თქვა გულმავიწყი მკითხველისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე. 33 წლის მანძილზე ჯარიმამ მნიშვნელოვანი თანხა შეადგინა — 201 დოლარი და 96 ცენტი (160 მანეთზე მეტი).

მთვარის თავგადასავალი

ბულგარელმა ასტრონომმა ნიკოლა ბონევმა წამოაყენა ახალი ჰიპოთეზა მთვარის წარმოშობის შესახებ. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ასეულობით მილიონი წლის წინ მთვარე მზის სისტემის დამოუკიდებელ პლანეტას წარმოადგენდა, მისი ორბიტა უახლოვდებოდა დედამიწის ორბიტას. მაგრამ შემდეგ, მთვარის ზედაპირზე გრანდიოზულმა ვულკანულმა ამოფრქვევებმა იმოქმედეს მის პირველყოფილ მოძრაობაზე. საბოლოოდ, მთვარე დედამიწამ მიიზიდა და თავის თანამგზავრად გაიხადა.

უჩვეულო შეჯიბრი

ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, როგორც ნამდვილი მძლეოსნური შეჯიბრების დროს. იწყებოდა რბენა დაბრკოლებების გადალახვით. აი, მსაჯმა სტარტი მისცა და მორბენლები წინ გაიჭრნენ. მაყურებლები სუნთქვაშეკრულნი უყურებდნენ პირველობისათვის დაძაბულ ბრძოლას, და როცა ფინიშის ხაზი გადაჭრილ იქნა, ცხარე კამათი ატყდა მორბენალთა სპორტული მონაცემების შესახებ. უჩვეულო იყო მხოლოდ სტადიონის სარბენი ბილიკი და თვით შეჯიბრების მონაწილენი. სარბენი ბილიკის სიგრძე სულ ექვსი მეტრი იყო, მორბენლების როლში კი გამოდიოდნენ... ბაყაყები.

შემდეგ სიგრძეში ხტომაში მოეწყო შეჯიბრება... ყველაზე უკეთეს შედეგად აღინიშნა 8 მეტრი და 80 სმ. პროგრამის უკანასკნელი პუნქტი იყო ცურვა. ცურვა გაიმართა მხოლოდ ერთ სტილში — ბაყაყურში“.

ამ უჩვეულო შეჯიბრებებს აწყობს მექსიკელი ლიმპა. აი, რას ამბობს იგი: „ამ პროგრამის მომზადებას ხუთი წელი მოვუნდი. ბაყაყების წვრთნა ძალიან დიდ მოთმინებასა და მათდამი სიყვარულს მოითხოვდა“. ლიმპა თავისი ატრაქციონით ევროპის ქვეყნებში მოგზაურობს და დიდი წარმატებით სარგებლობს.

ვალტერ სკოტის შეცდომა

სულ რაღაც 150 წლის წინ დიდი ქალაქების ქუჩები ქონის სანთლებითა და ზეთის ჭრაქებით ნათდებოდა, რომელთაც სუსტი შუქი ჰქონდათ და თანაც ძალზე ბრჩოლავდნენ.

ინგლისელმა ფრედერიკ ვინზორმა წინადადება წამოაყენა, გასანათებლად გამოეყენებინათ ქვანახშირის უპაეროდ წვის შედეგად წარმოქმნილი გაზი. მაგრამ ვინზორი მასხრად აიგდეს. სანთლის ქარხნების პატრონებმა, იმის შიშით, რომ თავიანთი მოგება არ დაეკარგათ, იგი შეშლილად გამოაცხადეს. მასზე წერდნენ ფელეტონებს, თხზავდნენ დამცინავ ლექსებსა და სიმღერებს. „ერთი ჭკუაზე შერყეული, — წერდა ინგლისელი მწერალი ვალტერ სკოტი, — რჩევას იძლევა განათდეს ლონდონი, და იცით რით? კვამლით!“.

მაგრამ დაცინვებმა ვერ შეაჩერეს გამომგონებელი. ვინზორი ყველგან დაუინებით ამტკიცებდა თავის სიმართლეს. და აი, 1807

წელს გაზის ფარნებმა პირველად გაანათეს ლონდონის ქუჩები. შემდეგ ისინი ევროპისა და ამერიკის დიდ ქალაქებშიც გამოჩდნენ.

პეტერბურგში გაზის ქარხანა 1835 წელს ამუშავდა.

„ПИОНЕРИ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина.
№ 7 1961 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 3—81—85
სსსრ სახელმწიფო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-85
უ2 00086. ტირ. 25.700. პირ. ფორ. რაოდ. 4½. ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 4/VII-61 წ. სტამბის შეკვ. 1071. გამომც. შეკვ. 305. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის ბ/ქ «კომუნისტი». | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. || ფასი 20 კაპ. |

ᲔᲓᲘᲡᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

თექვსმეტი წლის ედისონი მშობლებთან ერთად, მატარებლით თავის ქალაქში ბრუნდებოდა. წყალდიდობას 1.200 მეტრი სიგანის მდინარეზე ჩაეშალა ხიდი, დაეწყვიტა სატელეფონო ხაზები, ასე რომ ჩვეულებრივი საშუალებით ქალაქთან დაკავშირება შეუძლებელი იყო.

ედისონმა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ქალაქთან კავშირი დაამყარა. როგორ მოახერხა ეს?

სხვათა შორის, შემდგომ, როდესაც ამერიკაში სტუდენტებს ედისონის სახელობის სტიპენდიებს უნიშნავდნენ, გამოსაცდელ კითხვებში ეს გამოცანაც იყო შეტანილი.

ცოტა ფანტაზია, ცოტა დაფიქრება და, ამ ამოცანას თქვენც გადაწყვეტთ.

ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘᲗ!

1. ორი მოცურავე ერთი პატარა სიღრმის მდინარეში ჩავიდა. ფსკერი გალესილი ქვებით აღმოჩნდა დაფარული. ერთს ფეხები მთლად დაეჭრა, მეორეს არა. რა მოხდა?

2. მარხილში შებმულ ირმებს მგზავრი ზარის ხმით აშინებს. როცა უფრო სწრაფად რეკს ზარი, ირმები მით უფრო სწრაფად მიჰქრიან. კიდევ და კიდევ. სანამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს რბენა და რა სისწრაფეს მიაღწევენ ირმები? (ცხადია, პირობითად).

3. შვეულმფრენი დაფრინდა ისეთ ადგილზე, სადაც ჩვენს ქვეყანას ნორვეგია, დანია, კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები ესაზღვრება. რა ადგილზე დაფრენილა შვეულმფრენი?

4. ამ თევზის სიგრძეა 5 მეტრი. იგი მდინარე ამურში ბუდობს. მას ჰქვია იმ ქალაქის სახელი, სადაც დიდი მეცნიერი, კოსმოსური გაფრენების წინასწარმეტყველი ცხოვრობდა. რა ჰქვია თევზს, ქალაქს და ვინ არის ეს მეცნიერი?

გარეკანის 1-ელ გვერდზე: „თევზაობა“, ნახ. რ. ცუცქირიძისა

ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

თქვენს წინაშეა უჯრედებად დაყოფილი სამი ერთიმეორეში ჩამჯდარი წრე. საჭიროა ყოველ ამ უჯრაში ჩაიწეროს ციფრები, ერთი და იგივე ციფრების გაუმეორებლად 1-დან 25-ის ჩათვლით ისე, რომ ცალკეულ წრეებში მოთავსებულ ციფრთა ჯამი უდრიდეს 100-ს.

შეადგინა ზესტაფონის მე-4 საშ. სკოლის VIII კლ. მოსწავლე

თ. ჭყოიძემ



ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

შევაერთებ ნაპირებს და
მდინარეზე ტვირთსა ვზიდავ,
მგზავრიც დამყავს ზურგით, მაგრამ
ფეხს არ ვიცვლი ადგილიდან.

შ. ამირანაშვილი

ᲨᲐᲠᲐᲓᲐ

ამ ფრინველის სახელი
ბუნებიდან თუ გვახსოვს,
დროის მრიცხველს მივიღებთ,
თუ მოვაკლებთ „ვ“ ასოს.

გ. წერეთელი

ᲐᲑᲐ, ᲡᲪᲐᲓᲔᲗ!

აქ მოცემულ მართკუთხედში საჭიროა ჩაალაგოთ ნაჩვენები ფიგურები ისე, რომ იკითხებოდეს მსოფლიოს ხალხთა ნება-სურვილი.

რ. თავდიდიშვილი

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲑᲐ, ᲡᲪᲐᲓᲔᲗ!

მოცემული ფიგურა იჭრება და ლაგდება კვადრატად ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე.



ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ; 4. თბილისი; 7. ლაშარი; 8. ლიმიტი; 10. აზოტი; 11. ეტლი; 13. თასი; 15. ჭაბუკიანი; 17. პარტია; 19. ნიჩაბი; 22. ზოია; 23. ლითიუმი; 24. ბუდე; 25. ვიზა; 27. ელბა; 30. ოტელო; 31. ოპიზარი; 32. ატამი; 33. „ამონი“.

ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 1. იბერია; 2. „ალი“; 3. ასკილი; 5. ბალეტი; 6. ატლასი; 9. პოლიკლინიკა; 12. ისანი; 13. თუნგი; 14. არაყიშვილი; 16. დებიუტანტი; 18. არია; 19. ნამი; 20. აზბესტი; 21. ლერწამი; 26. ალო; 27. ერი; 28. რითმა; 29. დაფნა.

ᲨᲐᲠᲐᲓᲐ

ოუსთაველი.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

1. ცხენი; 2 მაგნიტი.

პატარა მოქანდაკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შველი



წყაროზე

კასრების შემკვრელი

* * *

1958 წლის მე-5 ნომერში ჩვენი ჟურნალის მკითხველებს გავაცანით თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქანდაკების წრის წევრის, მესამეკლასელ ავთანდილ ანთაძის სკულპტურული ნამუშევრები. მათ საერთო მოწონება დაიმსახურეს.

შრომისმოყვარე ავთანდილმა განვლილ სამ წელში ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნა, რომლებიც პატარა მოქანდაკის უდაოდ მზარდ ნიჭიერებასა და დიდ მუყაითობაზე მეტყველებს.

ვბეჭდავთ ავთანდილ ანთაძის რამდენიმე ახალი ნამუშევრის ფოტორეპროდუქციებს.

* * *

მოცეკვავე ცხენი



ამბავი ამბავზე წ ამბავი

ჯეჯილი ფექეჯანში

ა. ლომიძე

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

ამოხუცდა გალაქტიონი, სამოცდაათ წელს გადაბიჯა. მისი შვილი, ცნობილი ფოსტიჩარი მამა ეხვეწება — „დრო პენსიაზე გადგებიდე, დაისვენო“, მაგრამ ჯოტბოს ბერიკაკი, მაინც მუშობს; აფთიაქის გამგეც. იგი ხან თავდახრილ, წამლების დამზადებით გართული თეთრხალათიან გოგონების თვალს ადევნებს საამოვნებით და თავათ ამოწმებს ექიმების მიერ გამოწერილი რეცეპტების, ხანაც საათფიანქო სამმართველოსაკენ მიფუსფუსებს ხოლმე.

კვირა დღის მოახლოვება ფარულ, ზღვასავით ვრცელ სიხარულსა და იდუმალ თრთოლვას ბადებდა მის გულში. ეს დღე მთებში, ტყეებში, ველებზე სიარულით დაქანცულსა და ბედნიერს ტაბლიდან უღამდობდა. ხელცარიელი იმეთამად ბრუნდებოდა და მაშინაც კი ქმაყოფილი იყო; მოღლილ სხეულს სარეცელზე მოასვენებდა, ძილშიც უღიმოდა ტანამლებს, ტყიანსა და ხრიოკ, ორორიან მთებს, ჯურებდაცქვეტილ ტრიდელებს, ბაღები განაბულ ვნოლსა და ხეებში შეფიფლილიან ბაქრილ, მოხატულწარმეთან, თვალშვენიერ კაკაბს.

ახლა ველარ ეფრაგულად უღალატა გალაქტიონს, ბაკლის მუნდაც ეძმენელ, ფიგაროდენის ბრიალე თვალები ულმობელად ფრთან გამარცვა და სათვალიერ შეუფოსა. ელდარის სანახები, ეზორაბოჯანის ტრამალები, ტბები და ჭიობები ისევ ძალუძად ეხმობენ გალაქტიონს, ბაგრან ამ ორიოდე წლის წინათ ისეთი რამ გადახდა თავს, რომ მას შემდეგ ნაფირობაზე ხელი აიღო. ხოხობი ცხენრწინ უფრინდებოდა, გალაქტიონი კი ეფიზოდ აცილებდა. როცა ქეთხეს — „რა დაგმართათო, ბელდაწყვეტილმა მუფეთ: ხელი მიყარეთ, ხოხობს კი არა, რაღაც ჩრდილს ბუნდოვნად ეხეფდეთ. მაშინ ბელში დასწეველ სიბერე და გადაწყვეტა — სასაფიროდ ირასოდეს წასულიყო.

სხვა დღეებში თითქმის ყოველთვის ხალისიანი, კვირის მოიწყენს, ეედელზე ჩამოკიდებული თოფის წინ სავარძლზე ჩამოჯდება და მოგონებებს ეძლევა. მერე ადგება, ბეწვკაკრგელ თოფის ლულას, ძაძისაგან დაკაწრულ კონდახს ხელს საფუთად გადაუსვამს, ამოიოხრებს და კართან მიცუცქსელ თვალეებლილ ბებერ ირლანდურ სეტერს ნაღვლიანად მიაჩერდება. გალაქტიონსა და ამ ძაღლს ბევრჯერ გადაუთელავთ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთები, თვალწუდენი ველები, ენადირნიათ მწყურნტ, ხოხობზე, ბნოლსა და კაკაბზე, ალრდილსა და ფერაჯზე, ბატსა და იხვზე...

ბალაშვთხელებელი, თვალწრარლიანი მეეგბარი — შილდა ნიადაგ წუეს ოთახის კართან დალაგებულ ნოხზე და თვლემს. გალაქტიონი ხანდახან ეტყვის: „შილდა, წადეადთ სანადიროდ“. ძაღლი თავს წამოსწეეს, ზანტად, ეღთხოდ წამოიმართება, ამოეფრეული თვალებით შეხედავს პატრონს და უმალ ძირს ეშვება. უჩინს დგომა.

გალაქტიონს ბეერი მეეგბარი ყოლია, ისინი ბერდებოდნენ და კვდებოდნენ. ძაღლის სიკვდილს ყოველთვის მწვავედ განიცდიდა, მაგრამ ახალ მეეგბარს შეიეენდა და ძველი ეავწყდებოდა. ძველს ბხოლოდ მაგონებ ადგებდა, როცა ახალი მასზე უარესი გამოდგებოდა. შილდასებრ არც ერთი თავისი ბებერი მეეგბარი არ შებრალება, თუმცა ზოგიერთი შილდას სკობდა ყნოსვით, სილამაზითა და კეეეთ.

ბოლო ხახეებთ შილდამ ეალო ბამას. გალაქტიონმა გადაწყვიტა: დღეს, ან ხვალ შილდა მოკვდება. წაეიყვან იქ, სადაც აგრე უყვარდა ფრინველის ბებნა და ნიბანელი, თავის საყვარელ ღიბინში, ბეჩენარში; დაე, უკანასკნელად თვალი მოაკლოს იქაურობას, დატბეს დამკვნარი, ხმელი ბალახისა და ფოთლის სურნელებით და სული იქ დალიოს.

კვირის, გალაქტიონმა შვილის მანქანაში ჩასვა ძაღლი.

— შეფაერისაკენ წამიყვანეთ, შვილო.

თვალცრემლიანი გალაქტიონი გზაზე ჩაერდამი ინტუებდა შილდას, უხმოდ ეემეფიდობებოდა.

მანქანამ ჭალისაკენ გაუხვია, მდინარე დებეფან-ჩისთან ფეფდა. გალაქტიონი მანქანიდან გადმოვიდა, ფოთოლშემოკეკვნილ ჯაგნარში დაკლაკნილ ბილეკს გაჰყვა. შილდა თითქოს გამოკეცხლდა, ჯერ პატრონს დაეღეენა, მერე ძველებურად წინ გაეედა. კუდს იქნევდა, ბუჩქებთან ჩერდებოდა, თითქოს რაღაცას ეძებსო, თავს ეკეთ-იქით ატრიალებდა. მცირე ხნის შემდეგ დაიღალა და დაწვა. გალაქტიონმა რძეში დამბალი პური შილდას ბლოსად დაუყარა, მერე ზურგი ეჩვენა ძაღლს, მანქანასთან მივიდა, თუმცა ოტტომრის მიწურეული იყო და ცოლთა, ნათესებით დალრეული შებტლიდან ეიფლი მოიწმინდა. ძლივს ამსაკენი ხმით შეილს მიმართა:

—დაბრუნდეთ, შვილო.

შვილმა ღიმილით შეხედა მამას და ალეფსანად უთხრა:

—მამაჩემო, საბე ისე ჩამოატარინ, თითქოს შვილი დაგვარეხოს.

გალაქტიონმა თვალები შესაბრალისად დაბამხმამ და რაღაც ჩაიდუდუნა.

* * *

შილდამ ღონე მოიკრიბა, ადგა. პატრონს რომ ვერ მოარა თვალი, ყრუდ დაიეეფა, აცნობა — ეჰა ვარო, მაგრამ პასუხი არაეინ გასცა. „ხომ არ დაშავდაო“, — გაიფიქრა ძაღლმა, გალაქტიონის ფეხის ხაკვალეეს გაჰყეა. ხაკვალეეეს იქ მიეეანა, სადაც ამ რამდენიმე ფეფის წინათ მანქანა იდგა. მანქანა არსაფ ჩანდა. გაოცდა გალაქტიონის მეფამ ეროგეული მეგობარი. მამად მისი მოსიყვარულე ბებერი შილდა. ამსაფაში შეიდმდი კიდეც. იქ ადგილ მოეკი ოემე არ მოშორებია. ეეფდა, ყმეოდა, მოთქვამდა, სკეროდა: „მოგადოდა გალაქტიონი, კეფაეინდებეპრად დაეეეეეეებდა, მანქანაში ჩასეამდა და ძინ წაიყვანდა.

ინთა. შილდა თუმცა შიმშილმა

— ამ წუთში გამოცსადდ! ახლა ჩამ შეგეცლება. ეეუნებს, ეერ ეიედა მოეიდა! — ტელეფონით დაეეეეპარეა ცოლი გალაქტიონს.

გალაქტიონი ქოშინითა და ხენეშით შეეარდა შინ, მალაეეგბაშლილმა ძაღლისაენ ტელეფონ ეეეეეეე